ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 26 აპრილი, 2017 №97 (7332) ფასი: 50 თეთრი

## სოსო ცისკარიშვილი: „ამ სახის კონსტიტუციით ძალიან მძიმე რეალობას მივიღებთ“



გვ.2

26 აპრილიდან

სამხილი მარლბოროს კოლოფზე

ქართული დეტექტივი, ტომი 11




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „როცა ბოკერიას აგენტი ვუწოდე, მოტრიალდა და დებილი მიწოდა. ამიტომაც ვესროლე კალამი“



გვ.3

## ემზარ კვიციანი: „ნაციონალებს ყველაფერზე საკადრის პასუხს გავცემ“



## ლევან ალაფიშვილი: „კონსტიტუცია არის მოქალაქეების დოკუმენტი ხელისუფლების შესაზღუდად“



გვ.4

## „ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას იწყებს



რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა, შესაძლოა, ალეკო ელისაშვილს დაუჭირონ მხარი

გვ.2



## გიორგი გაჩეჩილაძე: „ხუდონჰესი უნდა აშენდეს“



გვ.5

„მეც არ ვიცი, რა წერია „გაზპრომთან“ ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილში“

ISSN 1987-9385

## მირიან მირიანაშვილი: „ქართული ოცნების“ თვითლიკვიდაციის მცდელობა კითხვებს აჩენს“

„კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს რეპრესიული ბალაგანის სახე აქვს“



გვ.4

„რუსეთი საქართველოში ნაცად სცენარს უბრუნდება“

# სოსო ცისკარიშვილი: „ამ სახის კონსტიტუციით ძალიან მძიმე რეალობას მივიღებთ“



ნონა ცაბაძე

**საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა დასრულებულია. განხილვებმა საზოგადოებრივ წრეებში გადაინაცვლა. ოპოზიცია ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინშია.**

რა მოლოდინებია ვენეციის კომისიისგან, როგორ კონსტიტუციას ვიღებთ? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი პასუხობს.

***– ბატონო სოსო, კონსტიტუციის პროექტზე საზოგადოებრივი განხილვები დაიწყო. ასევე ველოდებით საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– გულსატკენია, რომ საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა და აქტიურმა არასამთავრობო სისტემამ ვერ მოახერხეს ქვეყნის შიგნით რაიმე კონსენსუსის მიღწევა.

***– გქონდათ ასეთი შედეგის მოლოდინი?***

– ძალიან მარტივად პროგნოზირებადი იყო შედეგი, მას შემდეგ, რაც შემოდგომაზე შეკრებილი მეოცნებეების ყიჟინა მოვისმინეთ, რომ უნდა შეიცვალოს პრეზიდენტის არჩევის წესი. ცხადია, ეს თემა მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მუშავდებოდა იატაკქვეშეთში და ამიტომ ამოხეთქა მან ასე თავშეუკავებლად.

***– სერიოზულად კნინდება ეს ინსტიტუტი? უფუნქციოდ რჩება პრეზიდენტი?***

– რა თქმა უნდა! თან ხან გვეუბნებიან, რომ პრეზიდენტი იქნება მთავარსარდალი, თან გვეუბნებიან, რომ აღარ იარსებებს უშიშროების საბჭო და ასე ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებს მეოცნებეთა ზონდერგუნდი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს და რომლებიც ზღვარგადასულ პოლიტიკას ატარებენ! ცხადია, ეს მოდელი კონსტიტუციისა სწორედ ის დოკუმენტია, რომელიც მხოლოდ ამ პარტიის კულუარებში იქმნებოდა.

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ პარლამენტმა საკონსტიტუციო კომისიას რამდენიმე ძირითადი ამოცანა დაუსახა და ეს ამოცანები შესრულებულია.***

– ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისგან კონსტიტუციასა და საკუთარ ჯიბის ბლოკნოტს, სადაც მუდმივად შეუძლია შეიტანოს ისეთი ცვლილება, რომელიც მას თავში გაუელვებს. ჩვენ გამოვიარეთ იმავე სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდი და ვიცით, როგორი შედეგის მომტანია ერთ პოლიტიკურ ძალაზე დაწერილი კონსტიტუცია. ამიტომ ახლა არა უკვე ოპონენტ პოლიტიკოსებთან ექნება „ქართულ ოცნებას“ საქმე, არამედ საქართველოს მოსახლეობასთან, რომელიც ბევრად უფრო პრინციპულია, ვიდრე რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური სუბიექტი.

***–განხილვებმა გადაინაცვლა საზოგადოებაში, არასამთავრობო სექტორში. შეიცვლება რამე?***

– ღირსეული ხელისუფლება შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობრივი ღირსების ძლიერი მუხტი. აქ სერიოზული როლი მიეკუთვნებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც ყველაფერი ქნეს, რომ შეეგონებინათ მეოცნებეთათვის, რა შეიძლება და რა არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს კონსტიტუცია. ვერ შეაგნებინეს, რა განსხვავებაა პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებს შორის! ამდენად, ვფიქრობ, წარმატებული იქნება ჩვენი ქვეყანა იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ ჰარმონიზებას, რასაც ჰქვია ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

***– ოპოზიციის ნაწილი არც იმას გამორიცხავს, რომ ეს საკითხი რეფერენდუმზე განხილვის საგნად იქცეს. ამაზე რას იტყვით? მოუწევს ხელისუფლებას რეფერენდუმის დანიშვნა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით?***

– თითქმის 10 წელია, რაც ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლებებისთვის კომფორტულია, რომ არსებული კონსტიტუციით შეიზღუდოს რეფერენდუმის ჩატარების საშუალება.

***– რა მოტივით?***

– მოიტანეს ასეთი ფსევდოპატრიოტული ჩანაწერი ნაციონალებმა, რომ არ შეიძლება ჩატარდეს რეფერენდუმი, რადგან იგი უნდა ჩატარდეს საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე. კი ბატონო, გადის წლები და ვხედავთ, რომ ეს ჩანაწერი დიდ მალამოდ მოედო „ქართულ ოცნებასაც“! არ აინტერესებდათ არც ნაციონალებს და ახლა არც მეოცნებეებს, რას ფიქრობს ხალხი.

***– ვისი ეშინიათ, საკუთარი მოსახლეობის?***

– სწორედ რომ! ყველამ კარგად ვიცით, როგორ „ათანხმებდა“ წინა კონსტიტუციას ნაციონალური მოძრაობა.ზუსტად იმ ფორმატით აპირებენ ესენიც,10-დან 15-მდე ადამიანი შეაგროვონ რომელიმე სახელმწიფო სუბიექტის კაბინეტში, სხვადასხვა რაიონში და არ გამოვრიცხავ, რომ 100%-ზე მეტი მხარდაჭერა გამოაცხადოს შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ იმ დოკუმენტის მიმართ, რომელსაც იგი ჯერ კიდევ კონსტიტუციას ეძახის და ამით შეურაცხყოფა მიაყენოსმთლიანად ქართველ საზოგადოებას.

***– თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოებასა და ოპოზიციურ სპექტრს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების იმედი აქვთ. გაიზიარებს ოცნება ამ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს?***

– აბა, რა გითხრათ, ლამის ხატზე დაიფიცა პარლამენტის ჩვენმა ახალბედა სპიკერმა, რომ ყველა შენიშვნა იქნება რეალიზებული, რასაც ისინი მიიღებენ ვენეციის კომისიისგან. აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია. შორს არ არის ის დრო, როდესაც ყველას და ყველაფერს ნიღაბი ჩამოეხსნება. თუკი ამ სახით დარჩება კონსტიტუცია, ჩვენ მივიღებთ ძალიან მძიმე რეალობას და ეს იქნება მიმანიშნებელი იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლა ვეღარ მოხერხდება იმ დემოკრატიული გზით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2012 წელს.

***– ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გახანგრძლივებას ცდილობს „ქართული ოცნება“?***

– აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, მე მგონი, სამარადჟამოდ აპირებს „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩენას! მხოლოდ წინა ხელისუფლების ლანძღვით არიან დაკავებული, სხვა რა გააკეთეს?! კი ბატონო, დანაშაული უამრავი ჰქონდა წინა ხელისუფლებას, მაგრამ, როდესაც იმავე ნაბიჯებით აპირებ ქვეყნის მართვას, რომელიც ჩვენ უკვე გამოვიარეთ და დავიწუნეთ, მაშინ არაადეკვატური ბუნების მქონე ლიდერები უნდა ჰყავდეს ასეთ პარტიას, რომ ვერ გაითავისოს, რა იყო, რა მოხდა და რა მოხდება!

# მარგველაშვილი — ახალ კონსტიტუციას ერთპარტიულობამდე მივყავართ



გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერ ეკა მიშველაძის თქმით, პრეზიდენტის აზრით, კონსტიტუციის ახალი ვერსია არ უწყობს ხელს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და გაწონასწორების პოლიტიკას.

ამის შესახებ მიშველაძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ისაუბრა. როგორც მიშველაძემ აღნიშნა, პრეზიდენტს ჰქონდა შეთავაზება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა წარმართულიყო მაღალი პოლიტიკური კონსენსუსითა და საზოგადოების ფართო ჩართულობით.

– მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლა ყოველგვარი განხილვის გარეშე გამოცხადდა. საკონსტიტუციო კომისიამ პროექტი საზოგადოების ჩართულობის გარეშე შეიმუშავა. მას გაემიჯნა ყველა პოლიტიკური პარტია, ექსპერტებისა და არასამთავრობოების უმრავლესობა, უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმა. დოკუმენტისთვის კენჭისყრა კი, გაუგებარი პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილებით – კომისიის წევრთა შემადგენლობის შეცვლის შედეგად მოხერხდა, – აღნიშნა ეკა მიშველაძემ.

პრეზიდენტის აზრით, კონსტიტუციის ახალი ვერსია არ უწყობს ხელს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და გაწონასწორების პოლიტიკას. შემოთავაზებულ მოდელში ბლოკების შექმნის აკრძალვით და ამ ფონზე 5%-იანი ბარიერის შენარჩუნებით, გამარჯვებული პარტიის მიერ გადაუნაწილებელი ხმების სრულიად უსამართლო მითვისებით, რეალურად ყალიბდება არაკონკურენტული საარჩევნო სისტემა, რაც მომავალში მრავალპარტიული პარლამენტის შექმნის შესაძლებლობას კრიტიკულად ამცირებს, ხალხის განწყობის პროპორციულად ასახვას არ უზრუნველყოფს.

– საბოლოოდ კი ქვეყანა ყალიბდება ფსევდოსაპარლამენტო რესპუბლიკად, სადაც, იმის ნაცვლად, რომ პარტიები და პარლამენტი იყოს ძლიერი, ორივე შესუსტებულია, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

# „ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას იწყებს

## რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა, შესაძლოა, ალეკო ელისაშვილს დაუჭირონ მხარი

შორენა მარსაგიშვილი



პარტიები ნელ-ნელა შეუდგნენ თვითმმართველობის არჩევნებისთვის სამზადისს. ამ მხრივ გამონაკლისი არც „ქართული ოცნებაა“. გამოიზამთრა თუ არა, ქალაქებსა და რაიონებში აქტიურად დაიწყო ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ოპოზიციის მტკიცებით, ეს ყველაფერი არჩევნებთან არის დაკავშირებული.

არჩევნებისთვის მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტები არ არის საკმარისი და „ოცნება“ საარჩევნო სიაში ჩასაწერი ხალხის ძებნასაც შეუდგა. ხალხი მაჟორიტარობისთვისაც ჰყავთ შესარჩევი. ხელისუფლებას მერობის კანდიდატების შერჩევაც მოუწევს.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ადასტურებს, რომ სამუშაოები დაწყებულია. საბოლოო შედეგის დადებას ის ზაფხულში ელოდება.

– უახლოეს მომავალში დაიწყება მსჯელობა კანდიდატებთან და მონაწილეობის ფორმასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ალბათ, ივლის-აგვისტოში გახდება ცნობილი კანდიდატთა სია. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩვენ შესარჩევი გვყავს მერობისა და გამგებლების კანდიდატები, – აცხადებს ირაკლი კობახიძე.

მთელი ქვეყნის მასშტაბით საკრებულოებისთვის ხელისუფლებას დამატებით კიდევ 1.000 კანდიდატის შერჩევა მოუწევს. 1.000 რჩეული მეოცნებეს მოძიება კი იოლი საქმე არ არის.

ამიტომაც „ოცნებაში“ მათ მოსაძებნად უკვე გააქტიურდნენ.

– ამაზე მუშაობა უკვე დაწყებულია და მსჯელობა უახლოეს მომავალში ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება. ზაფხულის ბოლოს საზოგადოებას წარვუდგენთ ჩვენს კანდიდატებს, – ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

ირაკლი კობახიძე არ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლება აღმოჩნდეს მათ სიაში.

„ახალ თაობასთან“ საუბარში „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ამბობს, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია რამდენიმე ცნობილ სახესთან. მათ შორის არიან როგორც კულტურის, ასევე სპორტის სფეროს წარმომადგენლები.

მისივე განმარტებით, „ოცნება“ კანდიდატების შერჩევისას უფრო ფრთხილად იმოქმედებს. 2014 წლის თვითმმართველობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბევრგან მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო.

როგორც „ოცნებაში“ ამბობენ, კანდიდატების შერჩევაში მონაწილეობას ბიძინა ივანიშვილიც მიიღებს. ოფიციალურ პირველ პირებსაც ექნებათ თავიანთი კვოტა. ეს ყოველთვის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ემზარ კვიციანი: „როცა ბოკერიას აგენტი ვუწოდე, მოტრიალდა და დებილი მიწოდა. ამიტომაც ვესროლე კალამი“

## „ნაციონალებს ყველაფერზე საკადრის პასუხს გავცემ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არა აქვს გიგა ბოკერიას მისთვის შეხედვის უფლება, სად დაიკარგა მის მიერ ნასროლი კალამი, რას ურჩევს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვისი უფლებებია დაცული საქართველოში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**



***– თქვენი და გიგა ბოკერიას ჩხუბი ისევ განხილვის თემაა. თქვენმა განმარტებამ – ბოკერიას ჩემკენ გამოხედვის უფლება არა აქვსო, საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. ყოფილი ხელისუფლების წევრების თქმით, ადამიანს თქვენკენ გამოხედვას ვერ აუკრძალავთ.***

– საზოგადოება იმან უფრო გააღიზიანა, გიგა ბოკერიას კალამი რომ ავაცილე. მე არსად განმიცხადებია, რომ ადამიანებს ჩემკენ გამოხედვის უფლება არა აქვთ. გიგა ბოკერია ჰგონიათ ადამიანი? გიგა ბოკერია გახლავთ ის ჯალათი, რომელმაც ჩემი და, ნორა, 6 წელი ტყუილად გამოამწყვდია ციხეში. ბოკერიასა და მის გარშემომყოფებს როგორ შეიძლება, ადამიანები ვუწოდო, როცა მათ საქართველოს ტერიტორიების 20% რუსებს დაუკანონეს.

***– აფხაზეთი და სამაჩაბლო ჯერ კიდევ მანამდე დაიკარგა, სანამ ბოკერია ხელისუფლებაში მოვიდოდა.***

– აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგული იყო, მაგრამ კოდორსა და ახალგორს ჩვენ ვაკონტროლებდით. ამის გარდა, აფხაზეთი და ცხინვალი აღიარებული არ იყო. ამათ ჩვენი ტერიტორიები ოფიციალურად გადასცეს რუსებს. ამის ერთ-ერთ შემოქმედ გიგა ბოკერიას, დიახაც, ვუკრძალავ ჩემკენ გამოხედვას.

კოდორის დაცვის დროს უამრავი თანამებრძოლი დამეღუპა. გადარჩენილები ამათ დაიჭირეს და რამდენიმე დღის შემდეგ ციხეში ცემით მოკლეს და ახლა ნაციონალებს ის უკვირთ, რომ ბოკერიას ვეჩხუბები? კიდევ თუ გამოიხედავს, იგივე გამეორდება.

***– თქვენ და ბოკერია პარლამენტში ერთად უკვე რამდენიმე თვეა, რაც ხართ. ამ ხნის განმავლობაში მან პირველად გასულ კვირას გამოიხედა თქვენკენ?***

– სხვა დროსაც იხედებოდა, მაგრამ – ჩუმ-ჩუმად. მისი მისამართით რამდენიმე განცხადება გავაკეთე, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გასუსული იყო. ახლა რაღაცამ გააბლატავა ანდა დირექტივა მოუვიდა უცხოეთიდან.

***– რა დირექტივა, კვიციანს შეხედეო?***

– არც ეგ არის გამორიცხული, რომ უთხრან, კვიციანს დაუპირისპირდიო. აქამდე ხომ გითხარი, ხმას ვერ მცემდა. ახლა, ალბათ, უცხოელები დაჰპირდნენ, ჩვენ დაგიცავთო და მაგანაც გაბედა ხმის ამოღება. მის დაცვაზე საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიც სერიოზულად მუშაობენ.

დღეს საქართველოში თავს დაცულად მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გრძნობენ. ბოკერია და მისი ფრთა დღევანდელმა ხელისუფლებამ გააბლატავა. არადა, ეს ის ხალხია, რომლებიც წლების განმავლობაში მთელ საქართველოს აწამებდნენ და სისხლში აცურავებდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი გარეთაც კი ვერ უნდა გამოსულიყვნენ. მოხდა პირიქით. გარეთაც გამოვიდნენ და პარლამენტშიც გამომწვევად ყელყელაობენ.

***– პირადად თქვენ დაუცველად გრძნობთ თავს?***

– შენი აზრით, დაცული ვარ ახლა მე? რა თქმა უნდა, არა ვარ. არავისი მე არ მეშინია, თავის დაცვაც მეხერხება და საკადრისი პასუხის გაცემაც, მაგრამ თავს დაუცველად სხვა მიზეზით ვგრძნობ.

***– რა მიზეზია?***

– მიზეზი ძალიან სერიოზული და მტკივნეულია. ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი შეჩერებულია. პირადად მე ნაციონალების დროს რაც წამართვეს, არაფერს არ მიბრუნებენ და რანაირად ვარ დაცული?

ჩემს დღეშია ათეულობით ათასი ადამიანი. მთელი საქართველო დაუცველია. ამ ქვეყანაში თავს კარგად მხოლოდ ყოფილი ხელისუფლება გრძნობს.

ძალიან ვბრაზდები მაშინ, როცა ნაციონალები ანექსიაზე საუბრობენ. ამ თემაზე რა უფლებით ლაპარაკობს ის ხალხი, რომელმაც საკუთარი ხელით გაასხვისა ჩვენი ტერიტორიები. მათი დამსახურებით არის დღეს ახალგორსა და გალში რუსული სამხედრო ბაზები. მათი წყალობით აღარ ფრიალებს კოდორში ქართული დროშა.

ამათ რომ ვუყურებ, ერთი კომპანია მახსენდება, რომელიც ქართულ ბაზარზე შევარდნაძის დროს შემოვიდა. საქართველოში მეჩაიეობის დარგის აღორძინება ამ კომპანიამ აიღო საკუთარ თავზე. აღორძინების ნაცვლად მოსპეს ქართული მეჩაიეობა.

საქართველოში ყველაზე დიდი უბედურება იყო და არის ნარკობიზნესი და ნარკომანია. ვინც ამ ბიზნესს მფარველობდა და მისი „კაროლები“ იყვნენ, სწორედ ისინი ყვიროდნენ ნარკომანიის საწინააღმდეგოდ.

საერთოდ ასე ხდება, რასაც უნდა ებრძოდნენ, იმას ახალისებენ. ნაციონალური მოძრაობა იმიტომ დაირქვეს, რომ ხალხს კარგები ჰგონებოდათ. ნაციონალების შირმას ამოფარებულებმა გაანადგურეს მთელი ნაცია. ეს არის 21-ე საუკუნის პოლიტიკა და ჯაშუშური მუშაობის შედეგი.

***– გიგა ბოკერიას თემას დავუბრუნდები. მისი განმარტებით, თქვენ ეს ჩხუბი იმიტომ ატეხეთ, რომ ხელისუფლების დავალებით პარლამენტში სუსის უფროსის უხეირო გამოსვლა გადაგეფარათ. ამ ვერსიაზე რას იტყვით?***

– კლოუნადა მოაწყოო, მაგ ბოკერიამ ესეც თქვა ჩემზე. მთელი თავისი ცხოვრება ეგ და მაგისიანები სხვების დავალებით აწყობდნენ კლოუნადებს და ამიტომაც მეც ასეთი ვგონივარ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ვინმე საქმეს გულით აკეთებდეს და არც ის წარმოუდგენიათ, რომ ვიღაცას შეიძლება, მართლა გულით ეწყინოს რაღაცა.



კლოუნადები და ხელისუფლების დავალებების შესრულება მოიკითხონ თავისკენ. წეღანაც გითხარი, რომ მაგათ გარდა ამ ქვეყანაში თავს დაცულად არავინ გრძნობს და ეს ხელისუფლების გარეშე არ მოხდებოდა.

რაც შეეხება ჩემს მართვადობას, მართვადი კაცი რომ ვყოფილიყავი, ცხოვრებას მოვიწყობდი, ასეთი ტანჯული ცხოვრება კი არ მექნებოდა.

***– ამ ინციდენტის შემდეგ პარლამენტში ნაციონალებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდებათ?***

– მე რა უნდა გამიჭირდეს, გოგო? მაგათ კი ნამდვილად გაუჭირდებათ იქ ყოფნა. ქვეყნის გამყიდველებმა პასუხი უნდა აგონ. მათი მხრიდან პროვოკაციების მოწყობას თუ გულისხმობთ, მე არ ვარ ის ადამიანი, ვიწუწუნო, პროვოკაცია მომიწყვესო. სადაც პროვოკაციას მომიწყობენ, იქ გავაკეთებ იმას, რის გაკეთებაც შემიძლია. მაგათ პროვოკაციას თავს არ ავარიდებ.

***– როგორც ამბობენ, ბოკერიასთვის ნასროლი კალამი დღემდე ვერ დაიბრუნეთ. მართალია?***

– მართალია. არ ვიცი, სად დაიკარგა. როგორც მითხრეს, პარლამენტში არაფერი იკარგება. ეტყობა, ნაციონალებმა მიითვისეს. პასტები და კალმები კიდევ მაქვს.

***– ამ ამბის შემდეგ ერთ-ერთმა ფეისბუქმომხმარებელმა თქვენ ემზარ პასტიანი გიწოდათ. ამაზე რა რეაქცია გქონდათ?***

– რა მიწოდა? პასტიანი? სიყვარულით დამიწერა, ალბათ. ასეთ რამეებზე არ ვბრაზდები, კარგად ვგრძნობ ხალხის განწყობას. ყოფილი ხელისუფლების მიმართ კი საშინლად უარყოფითი განწყობა აქვთ.

პასტიანი რომ მიწოდეს, ეგ არ მწყენია, მაგრამ ჩემთვის საყვარელმა ტელეიმედმა რომ ბოკერიას „გაპრავება“ ცადა, ამაზე გული დამწყდა. ეთერში გავიდა კვირის შემაჯამებელი გადაცემა, სადაც ამ თემაზე იყო საუბარი. იქ ისე წარმოაჩინეს, თითქოს მე გიგა ბოკერიას დასავლეთის აგენტი ვუწოდე.

ასეთი რამე ბუნებაში არ მომხდარა. მე ბოკერიას ღიად ვუთხარი, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს. მაშინაც გარკვევით ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ის არის რუსეთის აგენტი.

ძალიან კარგად ვიცი, რატომ ამბობენ, რომ მე მას დასავლეთის აგენტი ვუწოდე. იმასაც ვხვდები, ვისი დავალებით გაკეთდა ეს.

***– ვისი დავალებით?***

– რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით. ისედაც კარგა ხანს მალეს, ბოკერია რომ მათი აგენტი იყო. და ახლა, როცა პირდაპირ წამოვაძახე, რუსეთის აგენტი ხარო, სპექტაკლს დგამენ, თითქოს დასავლეთის აგენტობა დავაბრალე. ჩემთან ასეთი ხრიკები არ გავა. მე ძალიან იოლად ვშიფრავ რუსეთის აგენტებს. პირველი მე ვიყავი, ვინც თქვა, რომ კახა თარგამაძე კრემლის აგენტი იყო.

მე რომ მართალი ვიყავი, ეს დრომაც დაადგინა და გარემოებებმაც. კახა თარგამაძე დღემდე რუსეთში ცხოვრობს და საქართველოში დაბრუნებაზე არც კი ფიქრობს.

***– რამდენიმე წლის განმავლობაში თქვენც ცხოვრობდით რუსეთში, სადაც კოდორის ამბოხების შემდეგ წახვედით. ამის გამო თქვენთვისაც ხშირად უწოდებიათ რუსეთის აგენტი.***

– მე რომ რუსეთის აგენტი ვყოფილიყავი, დღესაც იქ ვიქნებოდი ან ბოკერიასავით ვიმოქმედებდი. რუსეთში ჩემი ნებით არ წავსულვარ. სააკაშვილის საჯარისო ნაწილებმა ნადირივით მიმამწყვდიეს კუთხეში და გამდევნეს რუსეთში, სადაც ბევრი ტანჯვა ვნახე.

ამიტომაც მწყდება გული, რომ მედია ბოლომდე არ ცდილობთ იმის გარკვევას, თუ რატომ გავბრაზდი მაშინ ასე ძალიან. არსად და არავისთვის არ მითქვამს, რა მითხრა იმ დღეს ბოკერიამ. ამას ექსკლუზივის სახით გეუბნებით – როცა ბოკერიას აგენტი ვუწოდე, მოტრიალდა და დებილი მიწოდა. ამიტომაც ვესროლე კალამი. სხვა დროსაც თუ გაბედავს, საკადრისს მიიღებს.

# „ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევას იწყებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ასე იყო, მაგრამ ახლა სხვა პრობლემამ იჩინა თავი. „ოცნებაში“ ახლო მომავალში სამთავრობო ცვლილებებს ელოდებიან.

საპარლამენტო არჩევნების დროს ძალიან დაიჩაგრა პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი. მას პარლამენტში სულ რამდენიმე კაცი ჰყავს. მისი გუნდის წევრებად მხოლოდ ბიძინა გეგიძე და ლევან გოგიჩაიშვილი ითვლებიან. სამთავრობო კარუსელს თუ გადაურჩა, შესაძლოა, ახლა მოინდომოს მეტი ხალხის გაყვანა.

ამ ეტაპზე „ოცნებაში“ დანამდვილებით მხოლოდ ის იციან, რომ „ქართული ოცნება“ პარტიის სახით მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

ამას პარლამენტის თავმჯდომარეც ადასტურებს და ამბობს:

– ჩვენ როგორც საპარლამენტო არჩევნებზე, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზეც სავარაუდოდ, პარტიის სახით მივიღებთ მონაწილეობას.

„ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, საარჩევნოდ გაერთიანებას აპირებენ ოპოზიციური პარტიები. რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები როგორც პირად, ასევე მედიასთან საუბრებში ადასტურებენ, რომ გაერთიანებას აპირებენ, არც იმას გამორიცხავენ, რომ კიდევ რომელიმე პარტია შეუერთდეთ. ეჭვი ეროვნულ ფორუმზეა.



ამ დროისთვის იმაზე საუბრობენ, რომ მათ თბილისის მერის პოსტზე თავიანთი კანდიდატი არ ეყოლებათ და ისინი მხარს ალეკო ელისაშვილს დაუჭერენ, რომელმაც უკვე გამოთქვა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.

ამ ეტაპზე ისიც არ არის ცნობილი, აქვს თუ არა მას ამ პარტიების მხარდაჭერის სურვილი.

# ავარია ქედაში – დაღუპულია ახალგაზრდა ქალი




ქედაში, სოფელ ზვარესთან მომხარ ავტოსაგზაო შემთხვევას ქალი ემსხვერპლა, არასრულწლოვანი კი დაშავდა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# უბედური შემთხვევა ბათუმში – მშენებლობაზე მუშა დაიღუპა




ბათუმში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის შახტაში მუშა ჩავარდა. 67 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მირიან მირიანაშვილი: „ქართული ოცნების“ თვითლიკვიდაციის მცდელობა კითხვებს აჩენს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა" ესაუბრა საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს**

***– ადრე განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნება“ ძირს ითხრის. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტმა უფრო გაართულა მდგომარეობა?***

– ცხადია. ამან სიტუაცია უფრო გაამწვავა. კონსტიტუციაში შესატანი შესწორებები ძალიან უცნაურია და მავნებელია თავად „ქართული ოცნებისთვის“. მარტო ბლოკების აკრძალვა რად ღირს! ასეთ ცვლილებებს რეპრესიული ბალაგანის სახე აქვს. დედაქალაქის მერობის კანდიდატებად მმართველი პარტია თბილისელებისათვის მიუღებელ კანდიდატებს განიხილავს.

არც ნარმანია ყოფილა დედაქალაქისათვის შესაფერისი მერი. „ქართული ოცნების“ პოლიტიკა, მისი კურსი ამ 5 წლის განმავლობაში კონფრონტაციული და მისთვისვე წამგებიანი იყო. „ქართული ოცნების“ თვითლიკვიდაციის მცდელობა კითხვებს აჩენს.

***– კონფრონტაციულობაში რა იგულისხმება?***

– „ქართულმა ოცნებამ“ თავისი არასწორი გადაწყვეტილებებითა თუ უმოქმედობით დაკარგა მომხრეები, არ შეასრულა დაპირებები, რომელსაც ყოველი არჩევნების წინ გასცემდა. 2012 წელს საზოგადოება „ქართული ოცნების“ გარშემო გაერთიანდა. აქ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ. 5 წლის შემდეგ უეჭველი გახდა, რომ მმართველმა პარტიამ მომხრეთა ყველა ფენა „გადააგდო“.

მსოფლიო პოლიტიკური ისტორიისათვის უპრეცედენტოა, რომ ხელისუფლებაში მოსული ძალა უარს ამბობს თავისი შეპირებების შესრულებაზე ისე, რომ აქედან სარგებელიც არ გააჩნია. ადამიანებს ხშირად ვხვდები. მათი უმრავლესობა „ოცნების“ მხარდამჭერი იყო, მაგრამ ახლა ამ სახელის გაგონებაც არ უნდა. მხარდაჭერის გარეშე მმართველ ძალას ლეგიტიმაცია და მანევრირების საშუალება ეკარგება.

**„კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს რეპრესიული ბალაგანის სახე აქვს“**



**„რუსეთი საქართველოში ნაცად სცენარს უბრუნდება“**

***– ხალხის დიდი ნაწილი გაურკვევლობაშია?***

– ადამიანებმა არ იციან, ვის და რას უნდა დაუჭირონ მხარი. ისინი ვერ ჩამოყალიბებულან. ამ ადამიანებს „ქართულმა ოცნებამ“ საბოლოოდ გაუცრუა იმედი. „ქართული ოცნების“ სუიციდური კურსი საეჭვოა და დესტაბილიზაციის აშკარა საფრთხეს შეიცავს. დაუჯერებელია, „ოცნება“ იმისთვის იყოს მოსული, რომ საქმე გაიფუჭოს და მთელი საზოგადოება გადაიკიდოს.

***– ამაში რაიმე ჩანაფიქრი შეიძლება იყოს?***

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. არის იმის ნიშნები, რომ „ქართული ოცნების“ გადაფორმატება იწყება. მმართველი ელიტის შეცვლა და ამის შემდგომი კატაკლიზმები ახსოვს საქართველოს უახლეს ისტორიას. ამ ანტისახელმწიფოებრივ პროცესებში მონაწილეობდა რუსეთი.

***– შესაძლოა, რუსეთი მიმდინარე მოვლენებშიც იყოს ჩართული?***

– სავსებით. „ქართული ოცნება“ იზოლაციაში აღმოჩნდა. მან ვერ მიაღწია თანხმობას პოლიტიკურ ძალებთან და დაკარგა მომხრეები საზოგადოებაში. მისი დაპირება სამართლიანობის დამკვიდრება და ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე წევრების დასჯა იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ამის ნაცვლად შეაჩერა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სიკვდილი, უზრუნველყო ნაცმოძრაობისა და მისი კლონების ლიდერების და ახლობლების ქონება და უსაფრთხოება, ხელი შეუწყო მათ პოლიტიკურ მომავალს. თუ ცოტა ხნის წინ ნაციონალური მოძრაობა და მისი განაყოფები კეთროვნებად ითვლებოდნენ, ახლა ასე აღარაა.

***– ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებისკენ გზა გაეხსნა?***

– რასაკვირველია. შექმნილი მდგომარეობის ბენეფიციარები შეიძლება გახდნენ ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილთან ერთად და მათი კლონები დიდი რესურსებისა და გავლენის გათვალისწინებით, ხოლო ქართულ სახელმწიფოს შტოპორი ემუქრება. ხელისუფლებაში ბევრი ვერ აცნობიერებს, რა ხდება. მაგალითად, პარლამენტი დაკავებულია მეასეხარისხოვანი საკითხებით. გავეცანი საკანონმდებლო ორგანოს სხდომების დღის წესრიგს, რომელიც აცდენილია უმძიმეს რეალობას. ანალოგია შემიძლია გავავლო 1991 წელთან. მაშინ დეპუტატი ვიყავი. 1991 წლის დეკემბერში, როცა ცნობილი სისხლიანი მოვლენები მწიფდებოდა, ჩვენი საკანონმდებლო ორგანო უმნიშვნელო საკითხებს განიხილავდა.

***– როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

– საუბედუროდ, ცუდად. ჩანს იმის ნიშნები, რომ რუსეთი საქართველოში ნაცად სცენარს უბრუნდება. მმართველი ძალების ტრანსფორმაცია საქართველოში რუსეთის ჩარევით ხდებოდა. ამ სცენარით ყოველთვის იზრდებოდა საზოგადოების იმედგაცრუება, იქმნებოდა ფსევდოდასავლური ბანაკი, რომელიც სინამდვილეში რუსეთის ნების შემსრულებელი იყო. ეს ვითომ დასავლური ძალა პოლიტიკურად ანადგურებდა მარგინალურ პრორუსულ ბანაკს.

ასე მოხდა 2003 წელსაც. მაშინ პროცესები განვითარდა რუსეთის დირიჟორობითა და დასავლეთის ნებართვით. ახლაც იკვეთება ამ სცენარის განვითარება. „ქართული ოცნება“ ამ გეგმის მსხვერპლი გახდება. ის აღმოჩნდება ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც შევარდნაძე 2003 წელს.

მინდა მოვუწოდო „ქართულ ოცნებას“, გონს მოეგოს და არ დაუშვას სახელმწიფოს საწინააღმდეგო გეგმების აღსრულება! ხელისუფლება სახელმწიფოს საშინელ მდგომარეობაში ჩააგდებს, როცა ჩატყდება ტოტი, რომელსაც ის თვითონ იჭრის.

# ლევან ალაფიშვილი: „კონსტიტუცია არის მოქალაქეების დოკუმენტი ხელისუფლების შესაზღუდად“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე, კონკრეტულად საარჩევნო სისტემაზე საუბრობს.**



***– კონსტიტუციის ახალ ვარიანტში შერეული საარჩევნო სისტემა პროპორციული სისტემით იცვლება, თუმცა შემოთავაზებული ვარიანტი ოპოზიციისთვის მიუღებელია. საუბარია გადაუნაწილებელ მანდატებზე, რომლებიც პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს. რამდენად სამართლიანია, როდესაც ყველა საპროტესტო ხმა ხელისუფლებას მიაქვს?***

– ერთი შეხედვით, ძალიან მარტივი კითხვაა და თითქოს მარტივადაც უნდა გადაწყდეს, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე ადვილად გადასაწყვეტი საკითხი. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ თქვენც და ჩვენს მკითხველსაც, თუკი ვიტყვი, რომ არცერთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ბარიერი არსებობს, ბოლომდე მაინც არ არის სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოფილი.

***– რატომ?***

– თუნდაც ბარიერის არსებობა უკვე ნიშნავს თავის თავში არასამართლიანობას. მაგალითად, მე მხარი დავუჭირო „საქართველოს მონარქისტთა პარტიას“, რომელმაც ბარიერი ვერ გადალახა, მაგრამ ჩემი ხმა, როგორც ასეთი, მონაწილეობს ხმების დათვლაში, მანდატების გადანაწილებაში და ა.შ. ამდენად, თუ ასე მივუდგებით საკითხს, მმართველ პარტიას აქვს ტვირთი და ის პასუხისმგებლობა ამომრჩევლის წინაშე, რომელიც მან აიღო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში პირდაპირ წერია საარჩევნო სისტემის არა მხოლოდ გაუმჯობესება, არამედ სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფაც. იმედი მაქვს, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვების დროს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ჩართული მხარეების მონაწილეობით შესაძლებელი გახდება ფართო კონსენსუსის მიღწევა. სწორედ კონსენსუსის მიღწევასთან არის დაკავშირებული, ერთი მხრივ, სამართლიანი საარჩევნო სისტემა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებისა და მმართველობის სტაბილური განვითარება.

***– მაგალითად, მმართველმა პარტიამ აიღო 23%, ოპოზიციამ 22% და მაინც პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს ყველა საპროტესტო ხმა. ეს რისკების შემცველი არ არის?***

– ასეთ დროს ბევრი რამე ამომრჩეველთა აქტიურობაზეც არის დამოკიდებული, თუმცა, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ პროპორციული არჩევნებია, მით უფრო 5%-იანი ბარიერის პირობებში, პრაქტიკულად, გამორიცხულია ერთი რომელიმე ძალის ხელში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება.

თქვენ მიერ დასახელებული მაგალითიდან გამომდინარე ვმსჯელობ, რომ საჭირო გახდება კოალიციური მთავრობის ფორმირება, თუმცა, რამდენად მიღწევადია არსებული პოლიტიკური კულტურის გათვალისწინებით, რთული სათქმელია, რადგან ზოგადად კონსენსუსი და კოალიცია ნიშნავს შესაბამისი პოლიტიკური კულტურისა და პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური გაერთიანებების არსებობას.

სწორედ ამგვარი საფრთხეების, არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად არის საჭირო ე.წ. ბონუსების სისტემა. როდესაც ვერ ხერხდება პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა, კონკრეტულ ძალას ცოტათი მეტი მანდატი გადაეცემა ხოლმე. სხვადასხვა ქვეყანაში „ბონუსების სისტემა“ სხვადასხვაგვარად რეგულირდება.

***– ხელისუფლებას ხშირად იტალიისა და საბერძნეთის მაგალითი მოჰყავს ე.წ. მცირე ბონუსთან დაკავშირებით, რომელიც სწორედ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის.***

– კი ჰგავს, მაგრამ იტალიაში პირდაპირ არსებობს ჩანაწერი – გამარჯვებულს მიაქვს არა ყველა გადაუნაწილებელი მანდატი, არამედ 50 მანდატი.

***– ბევრჯერ ახსენეთ ბარიერი. საერთოდ, ბარიერის გაუქმების მომხრე ხართ?***

– ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობა არის ძლიერი თვითმმართველობა და ძლიერი პოლიტიკური პარტიები, რომლის მეშვეობითაც ბალანსდება კიდეც ხელისუფლება და კომპლექტდება კიდეც.

***– ამისთვის კი საკმაოდ მაღალი ბარიერია საჭირო. არ მეთანხმებით?***

– დიახ, თუმცა მხოლოდ ბარიერი არ არის საკმარისი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძლიერი პარტია დაკავშირებულია ამასთან, მაგრამ, რამდენი უნდა იყოს ბარიერი, ამაზე პასუხი არ მაქვს.

***– ვინ უნდა წერდეს კონსტიტუციას, ოპოზიცია თუ ხელისუფლება? ხელისუფლება მუდმივად არ იქნება სათავეში. ხშირად ხელისუფლება რაღაცას სათავისოდ აკეთებს, მაგრამ ის მალევე ტოვებს პოზიციებს.***

– ამ თქვენს კითხვას ასე ვუპასუხებ: ვინ და როგორ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან დაკავშირებით? ამ შემთხვევაში პასუხი მარტივია – ამომრჩეველი. ამომრჩეველი, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობა აქვს გაცნობიერებული როგორც პროცესის მონაწილეობაზე, ისე არმონაწილეობაზე.

კონსტიტუცია არის მოქალაქეების დოკუმენტი ხელისუფლების შესაზღუდად. ჩვენნაირი გარდამავალი დემოკრატიისა და ჯერ კიდევ განვითარებადი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური კულტურის მქონე საზოგადოებისთვის ყოველთვის იარსებებს რისკი, რომ გაჩნდეს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც საკუთარ მოკლევადიან თუ გრძელვადიან ინტერესებს მოარგებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

ამდენად, დასკვნა ძალიან მარტივია: პროცესი უნდა იყოს ფართო ჩართულობით წარმართული და არა რომელიმე ერთი აქტორის, თუნდაც მმართველი გუნდისა თუ ოპოზიციის მიერ წარმოებული. ყველა თანაბრად უნდა იყოს ჩართული და პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა იყოს აღებული და გადანაწილებული.

***– კონსენსუსის შედეგი უნდა იყოს.***

– რა თქმა უნდა, დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვაგვარად წარმოუდგენელია. საზოგადოების ფართო ჩართულობა ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებისთვის სარკეა, თუ რას ფიქრობს ამომრჩეველი, ხალხი. თუნდაც პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით ბოლო დროს შექმნილი შეხედულებები, პოზიციები პირდაპირ კარნახობს ხელისუფლებას, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ხუდონჰესი უნდა აშენდეს“

## „მეც არ ვიცი, რა წერია „გაზპრომთან“ ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილში“

გულიკო ბალაძე

**ახლახან ირანში ვიზიტისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ესჰაყ ჯაჰანგირიმა ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას ირან-საქართველო-სომხეთ-რუსეთს შორის ელექტროსისტემების სინქრონიზაციის თაობაზე, რომ წლის სხვადასხვა პერიოდში მოხდეს ელექტროენერგიის გაცვლა.**

რა მნიშვნელობა აქვს მსგავს შეთანხმებას, რა საიდუმლო პუნქტები აქვს „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას და როგორ უნდა აშენდეს ხუდონჰესი? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ გიორგი გაჩეჩილაძე ესაუბრება.

***– ბატონო გიორგი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა ოთხმხრივ ხელშეკრულებას ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთს შორის სხვადასხვა პერიოდში ელექტროსისტემების სინქრონიზაციასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად რა ხელშეკრულებაა და რაზეა საუბარი?***

– ინფორმაცია მეც ტელევიზიით მოვისმინე. თუ ხელშეკრულებას არ ვნახავ, ზუსტად ვერაფერს გეტყვით.

***– თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული პროექტები ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების პროცესში. ამ შემთხვევაში რა როლი შეიძლება ითამაშოს ამ ხელშეკრულებამ რუსეთთან ურთიერთობაში?***

– ჩვენ ვართ ჩართული ერთიან სისტემაში. როცა ელექტროენერგიის დეფიციტი გვაქვს (მაგალითად, ზამთრის პერიოდში), ელექტროენერგიას ვიღებთ რუსეთიდან, რომელსაც ვუბრუნებთ ზაფხულში, როცა ჭარბი ელექტროენერგია გამომუშავდება. სომხეთთანაც ასეთი ურთიერთობა არსებობს.

თუ ამ სისტემაში დამატებით კიდევ ერთი მოთამაშე ჩაერთვება, მაშინ დეფიციტის შემთხვევაში ენერგეტიკულ სტაბილურობას საფრთხე არ დაემუქრება, ანდა შეიძლება ელექტროენერგია ტრანზიტით გავატაროთ რუსეთის მიმართულებით და ამით მოგება ვნახოთ, როგორც არსებობს გაზსადენი, რომლითაც გაზი მიეწოდება სომხეთს და ამით სარგებელს ვიღებთ. შეიძლება ამგვარი რამ ელექტროენერგიის მიმართულებითაც იყოს. თუმცა, დაველოდოთ ხელშეკრულებას და იმის მიხედვით ცალკე ვიმსჯელოთ. თუმცა, ვფიქრობ, ეს არ არის ცუდი საქმე. პირიქით, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება.



დადგება დრო, როცა საქართველო სრულად დააკმაყოფილებს მოთხოვნას საკუთარი რესურსებით საკუთარ ტერიტორიაზე და მაშინ პრობლემა აღარ გვექნება, თან შეგვეძლება, ელექტროენერგია გავიტანოთ საერთაშორისო ბაზრებზე, ვაწარმოოთ ელექტროენერგიის ექსპორტი. რაც უფრო მეტი ამგვარი ხელშეკრულება დაიდება, მით უკეთესი.

***– ევროპის ენერგეტიკულ ინტერესებთან ხომ არ მოვა წინააღმდეგობაში?***

– არა. წინააღმდეგობაში მოვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ირანის წინააღმდეგ ამოქმედდება გაეროს სანქციები. მოგეხსენებათ, 2010 წელს გაერომ ირანთან დაკავშირებით შემოიღო სანქციები და გაეროს წევრი ქვეყნებისთვის გარკვეულ მიმართულებებში ირანთან ურთიერთობები შეზღუდა. კერძოდ, შეზღუდვა შეეხო აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებს. ეს ეხებოდა როგორც გარკვეულ პიროვნებებს, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიების იმპორტს, საფინანსო ბაზრების შეზღუდვას ირანისთვის. ყველაზე უცნაური ის არის, რომ 2010 წელს, როდესაც გაერომ ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესა, სააკაშვილის ხელისუფლება მოიქცა პირიქით.

***– როგორ?***

– ამ პირობებში ირანთან უვიზო რეჟიმი გახსნა. გაგახსენებთ, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, გაეროს სანქციები ირანის მიმართ ისევ ძალაში იყო. წულუკიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წინა ხელისუფლებამ დაარღვია გაეროს სანქციების მოთხოვნები, ხოლო ჩვენს ხელისუფლებას მოუხდა ირანის იურიდიული პირებისთვის 150-მდე ანგარიშის შეჩერება ბანკებში. საერთაშორისო პრესაში (ცნობილ ამერიკულ გაზეთებში) დაიწერა, რომ ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ თავისი ქმედებებით ხელი შეუწყო ირანს გაეროს მიერ დაწესებული სანქციების დარღვევაში, ანუ საქართველოს საბანკო სისტემამ მისცა საშუალება ირანის იურიდიულ პირებს, ჩვენი საბანკო სისტემა თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ. სანქციები დაკავშირებული იყო ირანის ბირთვულ პროგრამასთან.

***– ანუ „ოცნების“ ხელისუფლების დროს ირანთან ურთიერთობების შესუსტება გაეროს სანქციებთან იყო დაკავშირებული და გაეროს სანქციების მოხსნით საქართველოს საშუალება მიეცა, ირანთან ურთიერთობები გაეაქტიურებინა?***

– როგორც კი გაერომ და ევროკავშირმა ირანთან სანქციები მოხსნა, ჩვენმა ხელისუფლებამ შეძლო ურთიერთობები აღედგინა. ჩვენი ხელისუფლება იქცევა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, როგორც წესი და რიგია.

***– „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აცხადებთ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას აქვს საიდუმლო პუნქტები. ისიც განაცხადეთ, ღმერთმა ნუ ქნას, ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტები გასაჯაროვდეს, რადგან ეს კონფლიქტს გამოიწვევსო. რაზე შეიძლება იყოს საუბარი გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილში?***

– საიდუმლო ნაწილი ის არის, რომ საიდუმლოა. ამიტომ მეც არ ვიცი, რა წერია.

***– თუმცა, თქვენი ამ განცხადებით ცოტა ეჭვი ხომ არ გააჩინეთ?***

– არა.

***– მე ინტერესი გამიჩნდა, რა საიდუმლო პუნქტები ახლავს „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას. შეიძლება, სხვებსაც გაუჩნდათ.***

– როგორც მე ვიცი, საიდუმლო ფასებსა და სარგებელს ეხება, რომლის გასაჯაროების შემთხვევაში ხელშეკრულება დაირღვევა. ეს არის ხელშეკრულება და, თუ საქართველო დაარღვევს, მაშინ ის ჩავარდება უხერხულ და მძიმე მდგომარეობაში – პირობის დარღვევის, ანუ ხელშეკრულების საიდუმლო ნაწილის გასაჯაროების შემთხვევაში, რუსეთს ხელშეკრულების მთლიანად დარღვევის საშუალება მიეცემა. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ თქვან, გაზის ტრანზიტს აღარ მოვახდენთო. შედეგად ცუდი ვითარება შეიქმნება.

რუსეთი სომხეთის სტრატეგიული პარტნიორია. რეალურად, ამ მილსადენით რუსეთი გაზის მიწოდებას არ შეწყვეტს. ამიტომ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ორი გზა ექნება დარჩენილი, ან ხელშეკრულებას უნდა გადახედოს, ან უნდა უთხრას, სანამ ხელშეკრულება არ არსებობს, გაზს ვერ გავატარებო და ძალით უნდა გამოვიდეს ტრანზიტის ხელშეკრულებიდან. ორივე შემთხვევაში ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნება. ნაციონალებს უნდოდათ, „გაზპრომთან“ დადებული ხელშეკრულება მთლიანად გასაჯაროებულიყო და რთული ვითარება შექმნილიყო.

***– შეიძლება, ვიღაცას წარმოეშვას აზრი, რომ რადგან საიდუმლო ნაწილი ჰქვია, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოა. ასეთი პუნქტები ხელშეკრულებაში არსებობს?***

– რას ჰქვია, საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო შეიძლება იყოს? მინდა, საზოგადოებამ გაიგოს, რომ „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულება არის მაქსიმალური შესაძლებლობა, რასაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მიაღწია რუსეთთან მოლაპარაკებებით. რუსეთი ყოველთვის ცდილობს, შეგიქმნას უხერხული მდგომარეობა. ახლა რუსეთი ცდილობდა, ისეთი პირობები წამოეყენებინა, საქართველო არ დათანხმებოდა მის მიერ შემოთავაზებულ პირობებს, რაც სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებს დაძაბავდა.

***– ამ ხელშეკრულებაში ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებაზე იმიტომ გკითხეთ, ნაციონალები ისე დაჟინებით მოითხოვდნენ ხელშეკრულების გასაჯაროებას, რომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც საწინააღმდეგოს მოეწერა ხელი.***

– ნაციონალები ცდილობენ, ისეთი ვითარება შექმნან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომები დაუშვას და როგორმე მოახდინოს ვითარების დესტაბილიზაცია. საქართველოს ხელისუფლება ძალიან სწორად იქცევა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ხელშეკრულება ძალიან კარგია, რომლითაც რეგიონში სტაბილურობა შევინარჩუნეთ.

***– ბატონო გიორგი, ბოლო დროს ხუდონჰესის აშენების საკითხი ისევ გააქტიურდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ხუდონჰესის ელექტროსადგურის აშენებას შეეცდება. თქვენ ხუდონჰესი აშენებას ემხრობით?***

– ხუდონჰესთან დაკავშირებით რამდენიმე პროექტი არსებობს. საბჭოთა კავშირის დროინდელი პროექტი, მგონი, აღარც განიხილება. ნაციონალების დროს დადებული ხელშეკრულებაც (რომელიც 2007 თუ 2008 წელს დაიდო) გაუქმდება. სხვადასხვა ვარიანტია. ისეთი ვარიანტი უნდა შეირჩეს, რომელიც ნაკლებ ზიანს მოუტანს როგორც ბუნებას, ისე, სოციალური თვალსაზრისით, მოსახლეობას. მაშინ, ბუნებრივია, წინააღმდეგი არ ვიქნები.

***– ანუ შეიძლება, ისეთი პროექტი წარმოადგინონ, რომლის განხორციელების შემთხვევაში იქიდან მოსახლეობას აყრა-გადასახლება არ მოუწევს და გარემოსაც ზიანი არ მიადგება?***

– წარმოდგენილ უნდა იქნეს სხვადასხვა ვარიანტი და იმის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. 9 ვარიანტია. შევხედავთ, რომელი ვარიანტის განხორციელება იქნება საქართველოსთვის უკეთესი. საქართველოში ენერგეტიკა რომ უნდა განვითარდეს, უდავოა. ეს არის ქვეყნის უსაფრთხოების ნაწილი. ქვეყანას საკუთარი გენერაცია უნდა ჰქონდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საკუთარი ელექტროენერგიის გამომუშავება ხდებოდეს, მაგრამ, ამავე დროს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ გარემოს ნაკლები ზიანი მიადგეს და მოსახლეობაც დაკმაყოფილებული იყოს თავისი ინტერესების შესაბამისად.

ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პარლამენტში ახლა ვიღებთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსს. ძალიან მკაცრი კანონი იქნება, რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის დირექტივებთან. ყველანაირი მშენებლობა ამ კანონს უნდა დაექვემდებაროს. ეს კანონი მოგვცემს საშუალებას, ხუდონთან დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება.

***– ხელისუფლება ძალიან რთულ პრობლემებს ეჭიდება, თან ხუდონჰესის აშენება ძალიან სათუთი თემაა. თუ ეს საკითხი ყოველგვარი მღელვარებისა და პრობლემების გარეშე გადაწყდება, ყოჩაღ, ხელისუფლებას. არა მგონია, იქ წინააღმდეგობები არ იყოს.***

– ამიტომ ვამბობ, რომ ყველა მხარე კმაყოფილი უნდა იყოს.

# „აქსისპალასი 1“-ის კომპლექსში სავაჭრო ცენტრი „აქსისპალასი“ გაიხსნა



24 აპრილს, მრავალფუნქციური კომპლექსის აქსისპალასი 1-ის, სავაჭრო ცენტრ „აქსისპალასში“, ცინცაძის №12-ში კარფურის ახალი ფილიალი გაიხსნა.

სავაჭრო ცენტრი, რომელიც აშენებულია უახლესი ევროპული სტანდარტების მიხედვით, უზრუნველყოფილია პარკინგითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით, 7 000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და მომხმარებელს სხვადასხვა ტიპის მაღაზიებსა და ბრენდების მრავალფეროვან არჩევანს შესთავაზებს. ცენტრში მალე გაიხსნება შემდეგი მაღაზიები: PSP, Collizeone, OVS Kids, Penti, Baltic Optics, Cafй Check In, Pa Sport, Pepela, Kura Kura, Game Zone, Magic Candy, Bakos Coffee & Tea, Beard.ge, Warp, Tobacco Market, Uno Shoes, Santa Esperanza, Musera, Baccarat, M&B, Bamboo, Dom Kofe, Fiorela. ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა ბრენდებთან მოლაპარაკებები.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 6 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს. სხვადასხვა პერიოდში პროექტის დაწყებიდან დასრულებამდე 500-მდე ადამიანი იყო დასაქმებული.

„აქსისპალასი 1“ მრავალფუნქციური კომპლექსია, რომელიც თბილისში, ცინცაძის ქ. №12-ში მდებარეობს. პროექტის დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია. საცხოვრებელი კომპლექსი 10 საცხოვრებელ ბლოკს, საოფისე და კომერციულ ფართებს, კაფე-რესტორანს, სავაჭრო და გასართობ ცენტრს, მრავალფუნქციურ შიდა ეზოს, რეკრეაციულ და გამაჯანსაღებელ სივრცეს მოიცავს. სავაჭრო ცენტრის გახსნით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა „აქსისპალასის“ კონცეფციის სრულყოფისათვის.

შეგახსენებთ, რომ პოსტკრიზისული მშენებლობებიდან დარჩენილი ბლოკების მშენებლობა განახლებულია და აქტიურად მიმდინარეობს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 3/31/2017

### საბალანსო უწყისი *

ლარებით

| | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივები | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 155,182,113 | 153,631,871 | 308,813,984 | 127,997,202 | 179,260,319 | 307,257,521 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 60,710,095 | 867,334,558 | 928,044,653 | 62,546,412 | 456,993,021 | 519,539,433 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 35,642,965 | 414,588,336 | 450,231,301 | 3,286,689 | 222,371,281 | 225,657,970 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 671,303,602 | 1,135,947 | 672,439,549 | 573,736,396 | 0 | 573,736,396 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 2,155,345,347 | 3,561,677,274 | 5,717,022,621 | 1,552,524,209 | 2,942,622,006 | 4,495,146,215 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (113,183,960) | (164,257,201) | (277,441,161) | (96,620,487) | (202,368,411) | (298,988,898) |
| 6 | წმინდა სესხები | 2,042,161,387 | 3,397,420,073 | 5,439,581,460 | 1,455,903,723 | 2,740,253,595 | 4,196,157,317 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 41,814,377 | 25,198,581 | 67,012,958 | 28,467,913 | 22,210,368 | 50,678,281 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 47,034,119 | X | 47,034,119 | 42,422,840 | X | 42,422,840 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 375,587,958 | 4,890,400 | 380,478,358 | 45,712,272 | 0 | 45,712,272 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 338,487,886 | X | 338,487,886 | 309,171,089 | X | 309,171,089 |
| 11 | სხვა აქტივები | 117,303,835 | 150,315,346 | 267,619,181 | 54,483,286 | 40,707,061 | 95,190,347 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 3,885,228,336 | 5,014,515,113 | 8,899,743,448 | 2,703,727,822 | 3,661,795,644 | 6,365,523,466 |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 79,552,930 | 144,639,561 | 224,192,491 | 18,268,094 | 111,845,513 | 130,113,607 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 836,969,872 | 1,019,768,995 | 1,856,738,868 | 437,045,292 | 647,921,088 | 1,084,966,380 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 328,370,587 | 1,135,281,259 | 1,463,651,845 | 221,610,206 | 822,530,547 | 1,044,140,753 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 242,030,899 | 1,811,283,342 | 2,053,314,242 | 220,917,863 | 1,535,925,694 | 1,756,843,558 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 636,818,455 | 514,027,647 | 1,150,846,102 | 379,983,870 | 365,389,341 | 745,373,211 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 7,643,669 | 31,170,366 | 38,814,036 | 8,980,048 | 34,189,910 | 43,169,958 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 74,087,208 | 179,380,760 | 253,467,968 | 79,152,767 | 64,709,616 | 143,862,383 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 12,562,250 | 366,014,600 | 378,576,850 | 12,562,250 | 282,964,050 | 295,526,300 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 2,218,035,871 | 5,201,566,531 | 7,419,602,402 | 1,378,520,390 | 3,865,475,760 | 5,243,996,149 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 21,015,908 | X | 21,015,908 | 20,021,968 | X | 20,021,968 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 552,222,258 | X | 552,222,258 | 428,922,834 | X | 428,922,834 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 836,862,035 | X | 836,862,035 | 605,310,836 | X | 605,310,836 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 70,040,845 | X | 70,040,845 | 67,271,678 | X | 67,271,678 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 1,480,141,045 | X | 1,480,141,045 | 1,121,527,317 | X | 1,121,527,317 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 3,698,176,917 | 5,201,566,531 | 8,899,743,448 | 2,500,047,706 | 3,865,475,760 | 6,365,523,466 |

* ინფორმაცია არააუდირებულია, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნების მიხედვით

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 3/31/2017

### მოგება - ზარალის უწყისი *

ლარებით

| | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 1,348,419 | 693,328 | 2,041,747 | 906,120 | 129,359 | 1,035,480 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 73,252,192 | 81,609,172 | 154,861,364 | 63,201,451 | 73,084,954 | 136,286,405 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 3,458 | 535,854 | 539,312 | 127,785 | 11,003 | 138,788 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 10,260,047 | 20,154,063 | 30,414,110 | 7,115,485 | 19,057,689 | 26,173,173 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,839,744 | 7,336,138 | 9,175,882 | 2,034,238 | 3,081,173 | 5,115,411 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 251,120 | 3,136,091 | 3,387,211 | 804,950 | 2,686,138 | 3,491,088 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 915,898 | 4,007,753 | 4,923,651 | 1,455,566 | 1,666,519 | 3,122,085 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,287,341 | 4,876,395 | 6,163,736 | 1,817,257 | 4,685,256 | 6,502,513 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,526,594 | 1,732,691 | 3,259,285 | 504,494 | 4,301,250 | 4,805,744 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 57,037,944 | 35,501,961 | 92,539,905 | 49,215,463 | 33,407,047 | 82,622,510 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 130,045 | 4,328,227 | 4,458,272 | 126,214 | 4,188,878 | 4,315,093 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | 3,493,041 | 1,049,786 | 4,542,827 | 3,431,916 | 1,290,924 | 4,722,841 |
| 4 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 13,285,788 | (1,326) | 13,284,462 | 15,127,735 | 0 | 15,127,735 |
| 5 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 91,379,440 | 83,350,960 | 174,730,400 | 82,667,223 | 74,505,238 | 157,172,461 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 7 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 13,792,843 | 6,353,820 | 20,146,663 | 5,774,134 | 5,100,095 | 10,874,228 |
| 8 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 5,312,854 | 20,990,470 | 26,303,324 | 5,151,403 | 19,693,563 | 24,844,966 |
| 9 | ბანკის დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,137,150 | 340,732 | 1,477,882 | 487,736 | 512,058 | 999,794 |
| 10 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 11,156,994 | 15,815,775 | 26,972,769 | 12,735,657 | 15,528,288 | 28,263,945 |
| 12 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 175,379 | 9 | 175,388 | 205,737 | 0 | 205,737 |
| 13 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 31,575,221 | 43,500,805 | 75,076,026 | 24,354,667 | 40,834,004 | 65,188,670 |
| 14 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 59,804,219 | 39,850,155 | 99,654,374 | 58,312,556 | 33,671,235 | 91,983,791 |
| | | | | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 15 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურეობი | 24,663,853 | 2,380,438 | 27,044,291 | 14,283,562 | 2,068,500 | 16,352,062 |
| 15.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურეობის მიხედვით | 33,165,879 | 13,166,557 | 46,332,436 | 21,199,146 | 10,140,104 | 31,339,250 |
| 15.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურეობის მიხედვით | 8,502,026 | 10,786,119 | 19,288,146 | 6,915,584 | 8,071,604 | 14,987,188 |
| 16 | მიღებული დივიდენდები | 0 | 0 | 0 | 218,068 | 12,521 | 230,589 |
| 17 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 19 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა–გაყიდვის ოპერაციებიდან | 21,382,068 | 0 | 21,382,068 | 14,937,963 | 0 | 14,937,963 |
| 20 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (3,855,673) | 0 | (3,855,673) | (367,295) | 0 | (367,295) |
| 21 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | (205,155) | 0 | (205,155) | (156,169) | 0 | (156,169) |
| 22 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 741,598 | 2,793,265 | 3,534,862 | 885,444 | 2,973,044 | 3,858,488 |
| 23 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 3,284,114 | 1,104,873 | 4,388,986 | 2,335,533 | 2,010,394 | 4,345,927 |
| 24 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 46,010,804 | 6,278,575 | 52,289,379 | 32,137,106 | 7,064,458 | 39,201,564 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 25 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 3,753,278 | 1,428,354 | 5,181,633 | 3,558,819 | 1,689,601 | 5,248,420 |
| 26 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 3,614,353 | 9,318,280 | 12,932,633 | 2,512,471 | 2,766,291 | 5,278,762 |
| 27 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 39,782,492 | 0 | 39,782,492 | 36,753,390 | 0 | 36,753,390 |
| 28 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 846,549 | 0 | 846,549 | 768,626 | 0 | 768,626 |
| 29 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 6,404,849 | 0 | 6,404,849 | 5,546,267 | 0 | 5,546,267 |
| 30 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 7,726,819 | 136,478 | 7,863,297 | 6,948,784 | 39,151 | 6,987,934 |
| 31 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 62,128,341 | 10,883,112 | 73,011,453 | 56,088,356 | 4,495,042 | 60,583,399 |
| 32 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (16,117,537) | (4,604,537) | (20,722,074) | (23,951,250) | 2,569,416 | (21,381,834) |
| | | | | | | | |
| 33 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 43,686,682 | 35,245,618 | 78,932,300 | 34,361,306 | 36,240,650 | 70,601,956 |
| | | | | | | | |
| 34 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 7,749,990 | X | 7,749,990 | 27,864,176 | X | 27,864,176 |
| 35 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 36 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 2,041,788 | X | 2,041,788 | 2,412,891 | X | 2,412,891 |
| 37 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხ** | 9,791,778 | 0 | 9,791,778 | 30,277,067 | 0 | 30,277,067 |
| | | | | | | | |
| 38 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ სემოსავალ–ხარჯებამდე** | 33,894,904 | 35,245,618 | 69,140,522 | 4,084,240 | 36,240,650 | 40,324,890 |
| 39 | მოგების გადასახადი | 2,623,392 | 0 | 2,623,392 | 3,617,909 | 0 | 3,617,909 |
| 40 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | 31,271,512 | 35,245,618 | 66,517,130 | 466,330 | 36,240,650 | 36,706,981 |
| 41 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | 59 | 0 | 59 | 0 | 0 | 0 |
| 42 | **წმინდა მოგება** | 31,271,571 | 35,245,618 | 66,517,189 | 466,330 | 36,240,650 | 36,706,981 |

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 3/31/2017

### ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი *

ლარებით

| | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ | ლარი | უცხ.ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 4,123,832,863 | 11,617,127,566 | 15,740,960,429 | 3,474,078,171 | 9,311,398,809 | 12,785,476,980 |
| 1.1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.2 | გაცემული გარანტიები | 84,541,866 | 288,659,661 | 373,201,527 | 97,582,281 | 257,997,066 | 355,579,347 |
| 1.3 | მიღებული გარანტიები: ** | 822,493,159 | 2,547,536,845 | 3,370,030,004 | 687,515,445 | 1,971,201,560 | 2,658,717,005 |
| *1.3.1* | *თავდებობა, სოლიდარული პასუხისმგებლობა* | 804,037,685 | 2,482,854,365 | 3,286,892,051 | 671,661,926 | 1,920,860,914 | 2,592,522,839 |
| *1.3.2* | *გარანტია* | 18,455,474 | 64,682,480 | 83,137,954 | 15,853,519 | 50,340,646 | 66,194,165 |
| 1.4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები: ** | 3,216,797,838 | 8,750,727,950 | 11,967,525,787 | 2,688,980,445 | 7,082,065,955 | 9,771,046,399 |
| 1.5.1 | ფულადი სახსრები | 132,640,240 | 192,067,960 | 324,708,199 | 69,996,012 | 175,061,464 | 245,057,476 |
| 1.5.2 | ძვირფასი ლითონები და ქვები | 152,771,770 | 202,104,855 | 354,876,625 | 101,023,790 | 216,018,637 | 317,042,427 |
| 1.5.3 | უძრავი ქონება: | 2,213,893,713 | 6,881,860,171 | 9,095,753,884 | 1,577,880,884 | 5,684,032,050 | 7,261,912,933 |
| 1.5.3. | *საცხოვრებელი* | 1,201,488,815 | 2,676,459,529 | 3,877,948,343 | 854,588,122 | 2,357,209,055 | 3,211,797,177 |
| 1.5.3. | *კომერციული* | 448,381,889 | 2,024,965,247 | 2,473,347,137 | 328,138,262 | 1,631,431,219 | 1,959,569,481 |
| 1.5.3. | *კომპლექსური ტიპის უძრავი ქონება* | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.5.3. | *მიწის ნაკვეთები (შენობა ნაგებობების გარეშე)* | 423,437,057 | 1,412,455,722 | 1,835,892,780 | 293,800,272 | 1,220,416,386 | 1,514,216,658 |
| 1.5.3. | *სხვა* | 140,585,951 | 767,979,673 | 908,565,624 | 101,354,227 | 474,975,390 | 576,329,617 |
| 1.5.4 | მოძრავი ქონება | 577,849,711 | 837,775,453 | 1,415,625,164 | 818,290,198 | 661,152,761 | 1,479,442,959 |
| 1.5.5 | წილის გირავნობა | 85,271,797 | 330,742,657 | 416,014,454 | 68,833,751 | 148,288,891 | 217,122,642 |
| 1.5.6 | ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.5.7 | სხვა | 54,370,608 | 306,176,852 | 360,547,460 | 52,955,810 | 197,512,151 | 250,467,962 |
| 1.6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 0 | 30,203,110 | 30,203,110 | 0 | 134,228 | 134,228 |
| 2 | **ფორმალური ვალდებულებები** | 255,233,241 | 344,496,286 | 599,729,527 | 149,396,707 | 379,032,222 | 528,428,929 |
| 2.1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 220,743,932 | 298,221,077 | 518,965,010 | 136,899,506 | 144,842,599 | 281,742,105 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | 20,143,293 | 20,084,486 | 40,227,779 | 12,147,201 | 112,101,451 | 124,248,652 |
| 2.6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | 14,346,016 | 26,190,723 | 40,536,739 | 350,000 | 122,088,172 | 122,438,172 |
| 2.7 | დანარჩენი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 84,541,866 | 685,642,771 | 770,184,637 | 97,582,281 | 518,513,043 | 616,095,324 |
| 3.1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3.2 | კლიენტის ვალდებულება | 84,541,866 | 288,659,661 | 373,201,527 | 97,582,281 | 257,997,066 | 355,579,347 |
| 3.3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | 0 | 396,983,110 | 396,983,110 | 0 | 260,515,977 | 260,515,977 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახად განთავსებულ ქონებაზე** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4.1 | ძვირფასი ლითონები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4.2 | ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4.3 | სხვა ქონება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 107,588,800 | 107,588,800 | 0 | 104,187,600 | 104,187,600 |
| 5.1 | საპროცენტო განაკვეთის სვოპის ძირითადი თანხა | 0 | 107,588,800 | 107,588,800 | 0 | 104,187,600 | 104,187,600 |
| 5.2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.4 | ოფციონები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 0 | 0 | 0 | 30,514,866 | 30,514,866 |
| 6.1 | სვოპების ძირითადი თანხა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.2 | ფორვარდული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.4 | ოფციონები | 0 | 0 | 0 | 0 | 30,514,866 | 30,514,866 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 1,491,192,854 | 36,456,525 | 1,527,649,379 | 1,492,423,894 | 17,937,127 | 1,510,361,022 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 1,491,192,854 | 36,456,525 | 1,527,649,379 | 1,492,423,894 | 17,937,127 | 1,510,361,022 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 710,790,414 | 1,038,766,885 | 1,749,557,299 | 604,216,771 | 968,052,335 | 1,572,269,106 |
| 8.1 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001–დან | 487,091,728 | 794,339,537 | 1,281,431,264 | 415,290,161 | 724,431,831 | 1,139,721,992 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8.4 | ზარალშ ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 172,238,825 | 239,647,156 | 411,885,981 | 140,948,231 | 239,242,541 | 380,190,772 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 51,459,862 | 4,780,192 | 56,240,054 | 47,978,379 | 4,377,963 | 52,356,342 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 335,291 | 0 | 335,291 | 335,294 | 0 | 335,294 |
| 9.1 | გაურჩეველი ფულიანი ამანათები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 332,270 | 0 | 332,270 | 332,270 | 0 | 332,270 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 3,021 | 0 | 3,021 | 3,024 | 0 | 3,024 |
| 9.4 | სპეცლატარიის ანაზღაურება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 | **სულ** | 6,665,926,529 | 13,830,078,834 | 20,496,005,363 | 5,818,033,119 | 11,329,636,002 | 17,147,669,120 |

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 3/31/2017

### ეკონომიკური მაჩვენებლები *

| | | საანგარიშგებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 7.2% | 14.04% | 13.79% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 10.8% | 15.09% | 17.46% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 103.04% | 111.15% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 0.00% | 0.00% |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 7.79% | 9.60% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 3.35% | 3.98% |
| 7 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 3.70% | 4.34% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 4.44% | 5.62% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 2.96% | 2.24% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 18.38% | 13.30% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 4.09% | 7.20% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 4.85% | 6.65% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 62.30% | 65.46% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 56.34% | 57.53% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი** | -3.05% | -2.70% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 17.55% | 19.26% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 70.11% | 73.71% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 37.31% | 34.81% |

ბანკი: თი ბი სი ბანკი
თარიღი: 3/31/2017

### ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

| | |
|---|---|
| | **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა** |
| 1 | მამუკა ხაზარაძე |
| 2 | ბადრი ჯაფარიძე |
| 3 | ვახტანგ ბუცხრიკიძე |
| 4 | გიორგი შაგიძე |
| 5 | ნიკოლოს ენუქიძე |
| 6 | სტეფან უილკი |
| 7 | სტეფანო მარსალია |
| 8 | ერიკ რაჯენდრა |
| 9 | ნიკოლას დომინიკ ჰააგი |
| | |
| | **დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა** |
| 1 | ვახტანგ ბუცხრიკიძე |
| 2 | პაატა ღაძაძე |
| 3 | ვანო ბალიაშვილი |
| 4 | ნინო მასურაშვილი |
| 5 | დავით ჭყონია |
| 6 | გიორგი შაგიძე |
| 7 | ნიკოლოზ ქურდიანი |
| 8 | გოგა თხელიძე |
| | |
| | **საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით** |
| 1 | TBC Bank Group PLC -98.47% |
| | |
| | **ბანკის ბენეფიცირების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით** |
| 1 | European Bank for Reconstruction and Development- 12.03% |
| 2 | JPMorgan Asset Management 7.77% |
| 3 | Schroder Investment Management - 7.72% |
| 4 | Dunross & Co. - 5.70% |
| 5 | Societe Generale SA - 5.33% |
| 6 | ბადრი ჯაფარიძე - 6.98% |
| 7 | მამუკა ხაზარაძე - 13.98% |
| 8 | |

## მერაბ ღოღობერიძეს ბრალი ოფიციალურად წარედგინა



11-12 მარტის ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებულ მერაბ ღოღობერიძეს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

როგორც ჟურნალისტებს ადვოკატმა პაატა შავაძემ განუცხადა, ბრალდებულის გათავისუფლებას გირაოს სანაცვლოდ შეეცდება. მისივე თქმით, მერაბ ღოღობერიძე წარდგენილ ბრალს უარყოფს და პროტესტის ნიშნად შიმშილობს.

– მერაბ ღოღობერიძეს ბრალი ოფიციალურად წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე მტკიცებულებები ჯერ არ ჩაგვბარებია, რომელიც 14 ტომს შეიცავს. აქედანვე მიმაჩნია, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს ვერ გადალახავს ეს საქმე. მერაბ ღოღობერიძე მის ოჯახს გამართლებული დაუბრუნდება. პირველი წარდგენის ეტაპზე შევეცდებით გირაოთი გავათავისუფლოთ. თვითონ ბრალს არ აღიარებს და როგორ შეიძლება ადამიანმა არჩადენილი დანაშაული აღიაროს?! იგი ამ დროისთვის შიმშილობს. დაცვის ქვეშ მყოფმა არჩია, რომ მე უნდა დავიცვა მისი უფლებები, – აღნიშნა პაატა შავაძემ.

## უკრაინა „კანონიერი ქურდის“ „გელა თბილისკის“ ექსტრადირების საკითხს განიხილავს



უკრაინის მხარე ქართველი „კანონიერი ქურდის“ გელა ჯოშუას, მეტსახელად „გელა თბილისკის“ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების საკითხს განიხილავს.

როგორც უკრაინის ეროვნულ პოლიციაში აცხადებენ, გელა ჯოშუა კიევში ავტომობილების მოპარვის საქმიანობას მფარველობდა. ის კიევის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სადილობისას დააკავეს.

– 51 წლის გელა ჯოშუა, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, „კანონიერ ქურდად“ 1996 წელს მოსკოვში მოინათლა. კიევში ის შარშან ჩამოვიდა და რამდენიმე დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა. მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა სხვა „კანონიერ ქურდებთან“, ორგანიზებას უწევდა „კანონიერი ქურდების“ შეკრებას. დადგენილია, რომ კიევში, ნიკოლაევსა და ხერსონში „კანონიერი ქურდი“ გელა ჯოშუა დანაშაულებრივი საქმიანობის ორ მიმართულებას მფარველობდა – ავტომობილების მოპარვასა და სატრანსპორტო საშუალებების მითვისებას, – განაცხადა უკრაინის ეროვნული პოლიციის ქალაქ კიევის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა ანდრეი კრიშენკომ.

ექსტრადირების შემდეგ მას სამი წლით აეკრძალება უკრაინაში შესვლა.

## ჩოხატაურში შუახნის მამაკაცმა თავი სანადირო თოფით მოიკლა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეულში 50 წლამდე მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა თავი საკუთარ ეზოში სანადირო თოფით მოიკლა.

ფაქტს შსს-შიც ადასტურებენ. უწყების ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მაკა ჩიჩუას ძმა წარსულში არაერთხელ არის ნასამართლევი

### პროკურატურა განცხადებას ავრცელებს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ბრალდებული მ.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს:**



– სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 11 იანვარს, ქ. თბილისში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მ.მ. უკანონოდ ატარებდა „BROWNING“-ის კონსტრუქციის იარაღს ერთი მჭიდითა და ერთი ვაზნით, ასევე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ქარხნული წესით დამზადებულ 7,65 მმ კალიბრის იარაღს - „BERETTA“. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამოღებული იარაღები მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისთვის, ხოლო ამოღებული ვაზნა წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ვარგისია გამოსაყენებლად.

სამართალდამცველებმა მ.მ. 2017 წლის 11 იანვარს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.მ. წარდგენილ ბრალდებაში სრულად სცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მ.მ. წარსულში არაერთხელ არის ნასამართლევი. 2008 წლის 25 მარტს იგი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება) და სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა ჩადენილი ძალადობით) გასამართლდა და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე 2 წლით პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 3000 ლარი. 2010 წლის 27 თებერვალს მ.მ. კვლავ გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება) და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წელი და 9 თვე პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 2000 ლარი. 2011 წლის 4 მაისს მ.მ. გასამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ჯგუფურად) და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წელი და 1 თვე თავისუფლების აღკვეთა. 2013 წლის 14 თებერვლის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე მას დანიშნული სასჯელი შეუმცირდა, ხოლო 2013 წლის 25 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

# ირაკლი ჩხვირკია: „უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ“



– უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ!

ამის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოში პროცესის დაწყებამდე 11-12 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებულმა ირაკლი ჩხვირკიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ბრალდებული ამბობს, დაკავებასთან დაკავშირებით მინისპეცოპერაციის ჩატარება საჭირო არ იყო, რადგან გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად იყო. „უდანაშაულო ვარ და ამას დავამტკიცებ. აბსოლუტურად აბსურდია ის მინისპეცოპერაცია, რომელიც ჩემ მიმართ ჩატარდა. არ იყო ამის აუცილებლობა, ვინაიდან მე მქონდა განცხადება გაკეთებული და მზად ვიყავი, გამოვცხადებულიყავი სასამართლოში, – აღნიშნა ირაკლი ჩხვირკიამ.

ამ წუთებში ბათუმის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. საქმეს მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე განიხილავს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯგუფური დანაშაულის ორგანიზების და ხელმძღვანელობის ბრალდებით ორი პირი – 1985 წელს დაბადებული მ.ღ. და 1987 წელს დაბადებული ი.ჩ. დააკავეს. მათივე ცნობით, აღნიშნული პირები დაკავებულები არიან სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ან ხელმძღვანელობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ან/და მათზე თავდასხმა.

# „აფერისტების ჯგუფი“ – შელაპარაკება როგავების ოჯახის წევრებსა და სუს-ის წარმომადგენლებს შორის



გალში სამმხრივ მოლაპარაკებებს ხმაური მოჰყვა.

ხმაური იყო ენგურის ხიდზე, სადაც გალში სამმხრივი მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ მამა-შვილის, არჩილ და პაატა როგავების ოჯახის წევრებს სუს-ის წარმომადგენელი შეხვდა.

როგავებმა ქართულ მხარეს „აფერისტების ჯგუფი“ უწოდეს.

მანამდე კი სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ დაადასტურა ინფორმაცია, რომ მამშვილს სოხუმის სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც კახაბერ ქემოკლიძემ გალის შერეული შეხვედრის დასრულების შემდეგ ენგურის ხიდთან შეკრებილ როგავების ახლობლებს განუცხადა დე ფაქტო ხელისუფლება როგავებს საზღვრის უკანონო კვეთას, ხოლო პაატა როგავას დაკავებისას საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლის მიმართ ძალის გამოყენებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას ედავება.

– საქმესთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. ხელისუფლება და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გააკეთებს მაქსიმუმს, რათა ეს ადამიანები გათავისუფლდნენ უკანონო პატიმრობიდან, – აღნიშნა ქემოკლიძემ.

როგავები აქციებს გეგმავენ.

შეგახსენებთ, 6 აპრილს, რუსმა ოკუპანტებმა ტყაიადან მამა-შვილი როგავები იარაღის მუქარით გაიტაცეს. მოქალაქეები იმ დროს აიყვანეს, როდესაც ისინი მდინარე ენგურში დაკარგულ ცხენს ეძებდნენ.

# სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში ეხმარება

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო მოქალაქეებს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს სთავაზობს. მედიაცია საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლო დავის გარეშე მოგვარების შესაძლებლობას იძლევა.

დავის შემთხვევაში, მოქალაქეს თავისუფალი არჩევანი აქვს: ისარგებლოს მედიაციის, მათ შორის სანოტარო მედიაციის მომსახურებით თუ მიმართოს სასამართლოს და სადავო საკუთრების უფლება იქ დაიცვას.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, განხორციელებული მედიაცია სრულიად უფასოა. მოქალაქის თანხმობით, სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრი მოქალაქეებს ნოტარიუსთან უფასო მედიაციას თავად უნიშნავს. დღეის მდგომარეობით, მედიაციით 180 -ზე მეტი კომპლექსური საქმე მორიგებით დასრულდა და მოქალაქეებმა მეზობელთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მიწების მარტივად დარეგისტრირება შეძლეს. საჯარო რეესტრს ამჟამად მოქალაქეებისთვის 100-ზე მეტი მედიაცია სხვადასხვა ნოტარიუსთანა აქვს დანიშნული.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა 2016 წლის პირველი აგვისტოდან მიმდინარეობს. უპრეცედენტო რეფორმის მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# აშშ–მ სირიის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა



სირიის სამეცნიერო-კლევითი ცენტრის 271 თანამშრომლის მიმართ აშშ-მ სანქციები შემოიღო.

ამერიკელები თვლიან, რომ ქიმიური იარაღის წარმოება სწორედ ამ ცენტრში ხდებოდა.

– ასადის რეჟიმის წინააღმდეგ სხვა მკვეთრი ნაბიჯებიც გადაიდგმება, – განაცხადა სენატორმა მაკეინმა.

# მარინ ლე პენი ნაციონალური ფრონტის ლიდერის პოსტს ტოვებს




საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ნაციონალური ფრონტის ლიდერის პოსტს დატოვებს.

ლე პენმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისათვის უნდა მოემზადოს.

– ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, –აცხადებს ლე პენი.

# ესტონეთში რუსი ჯაშუშები დააკავეს




ესტონელმა მესაზღვრეებმა დააკავეს ცოლ-ქმარი ესიპოვები. ისინი ცდილობდნენ ესტონეთში შეეტანათ ანტისახელმწიფოებრივი ლიტერატურა, გიორგის ლენტები და შოკოლადიანი კოლოფები, რომლებზედაც გამოსახული იყვნენ სტალინი და გიორგის ლენტები.

კოლოფს ამშვენებდა წარწერა: ჩვენ დავამარცხეთ ფაშიზმი და ახლაც გავიმარჯვებთ!

ახლა ცოლ-ქმარი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

# დაღესტანი: აფეთქება აგვალის სკოლაში



დაღესტნის სოფელ აგვალში სისხლიანი ტრაგედია მოხდა. სკოლის კომპიუტერულ კლუბში ერთ-ერთმა მოსწავლემ ხელყუმბარა მიიტანა, რათა თანაკლასელებისათვის ეჩვენებინა. როგორც ჩანს, ბავშვებმა ხელყუმბარის დათვალიერებისას გაუფრთხილებლობა გამოიჩინეს, რადგანაც ის ხელში აუფეთქდათ.

შედეგად 11 ბავშვი დაშავდა. აქედან ერთი გარდაიცვალა.

# ლუგანსკს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს



უკრაინის ხელისუფლებამ „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკას" ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. მიზეზი დავალიანებაა, რომელმაც რამდენიმე მილიონ გრივნას მიაღწია.

– ჩვენ ლუგანსკელებს იმდენს ვაწვდიდით, რასაც რუსეთიდან ვიღებდით. რუსები კი ფულის გადახდას ჩვენ გვთხოვდნენ, – აცხადებს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ლიაშკო.

დენის შეწყვეტის შემდეგ ლუგანსკი წყვდიადში ჩაიძირა. მართალია, რუსეთმა დენი მიაწოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ქალაქის ნაწილს ჰყოფნის. გაჩერებულია ის რამდენიმე საწარმოც, რომელიც მუშაობდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ბარსელონაში პოლიციამ ტერორიზმში ეჭვმიტანილი 9 პირი დააკავა



ბარსელონის რამდენიმე პროვინციაში სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის შემდეგაც პოლიციამ 9 ეჭვმიტანილი დააკავა, რომლებსაც ბრალად ტერორიზმთან კავშირი ედებათ.

ამ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს. ცნობილია, რომ დაკავებულებიდან 8 მაროკოს მოქალაქეა, ერთი კი – ესპანეთის. მათ დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

დაკავებულების ვინაობა ცნობილი არ არის, მაგრამ, არსებობს ვარაუდები, რომ ეჭვმიტანილების რაღაც ნაწილს შარშან ბრიუსელში განხორციელებულ ტერაქტთან კავშირი აქვს.

პოლიციამ რეიდი 12 ადგილას განახორციელა და, შესაძლოა, დაკავებები კიდევ გაგრძელდეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# შოტლანდიელი პოლიტიკოსი ცხვარს შეებრძოლა



შოტლანდიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა უილიამ რენიმ სურათები ცხვრებთან ერთად გადაიღო.

პოლიტიკოსი შოტლანდიაში მოგზაურობს და ამომრჩევლებთან ადგილობრივი არჩევნების წინ შეხვედრებს მართავს. ადგილობრივი არჩევნები 2017 წლის 4 მაისს ჩატარდება. ფაიფის ოლქში ერთ-ერთ ფერმაში ვიზიტის დროს, ის ხუმრობით შეებრძოლა ცხვარს.

ერთ-ერთ ფოტოსურათზე რენი რქებზე ქაჩავს ცხვარს. მეორე კადრში კი ცხვარი უკანა ფეხებზე დგას და თავი პოლიტიკოსის მკერდზე აქვს მიბჯენილი. მესამე ფოტოზე კი პოლიტიკოსი ათამდე ცხვრის პირისპირ დგას და იღიმება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც შოტლანდიელმა პოლიტიკოსმა რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო ცხვრებთან ერთად.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ლავროვი: „დღეს რუსეთს არნახულად უჭირს"



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე კარიბის კრიზისის დროს იყო. ლავროვმა ხაზი გაუსვა, რომ მაშინ ორი იმპერია არსებობდა. ორივე საბჭოთა კავშირი და აშშ, ცდილობდა მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე კონფლიქტი გაეჩაღებინა. ახლა მდგომარეობა უფრო რთულია.

– იმხანად სიტუაცია კუბაზე ჩვენი რაკეტების დადგმის მცდელობის გამო დაიძაბა. ხაზს ვუსვამ, მცდელობის, რადგანაც რაკეტების დადგმა ვერ მოვასწარით, – განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს სისხლიანი კონფლიქტები უკვე თავად რუსეთს ემუქრება. ამისი ნათელი დადასტურებაა ომი დონბასში, ტერორიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში, დაძაბული მდგომარეობა შუა აზიაში, ტერაქტები მოსკოვსა თუ პეტერბურგში.

– რუსეთს დღეს არნახულად უჭირს! შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში ვართ, – ამბობს ლავროვი.

# არკანზასის ციხეში პატიმარი სიკვდილით დასაჯეს



არკანზასში სისრულეში მოიყვანეს პატიმარ ჯონსის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. მას 35 წლის ქალისა და მისი 11 წლის ქალიშვილის გაუპატიურებაში, შემდეგ კი მკვლელობაში ედებოდა ბრალი.

სასამართლოზე ჯონსის დანაშაული დამტკიცდა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ეს პირველი აღსრულებული სასიკვდილო განაჩენია არკანზასის შტატში.

მეორე პატიმრის ულიამსის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება გადაიდო.

# დონბასი: ეუთოს მისია მუშაობას გააგრძელებს




დონბასში ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ჰუგმა განაცხადა, რომ მიუხედავად თანამშრომლის დაღუპვისა, მისია მუშაობას გააგრძელებს.

ჰუგმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, დამნაშავენი კი დაისაჯონ.

– ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ეს მოხდეს, – თქვა ჰუგმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ჰუგმა აღნიშნა, რომ არსებობენ ძალები, რომელთაც ეუთო ყელში ძვალივით ეჩხირებათ. ამიტომ მისიამ მუშაობა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს და გამოააშკარაოს ისინი, ვინც მოაწყო აფეთქება.



# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა პორტლენდი მშრალად გაიარეს



ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა საპლეიოფო სერიის მე-4 მატჩიც მოუგო პორტლენდს და შემდეგ წრეში გავიდა. ოკლენდელებმა პლეი ოფის პირველი რაუნდი უპრობლემოდ გაიარეს და სერია მშრალი ანგარიშით – 4:0 მოიგეს.

ეს მატჩი სერიაში საუკეთესო გახლდათ ქართველი ცენტრისთვის. ფაჩულიამ თამაში ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 19 წუთში 6-დან 4 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 11 ქულა მოაგროვა და პლუს 7 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრაც მიითვალა.

რაც შეეხება მატჩს, ის სტუმართათვის საკმაოდ იოლი გამოდგა. პირველი პერიოდის 45:22 მოგების შემდეგ ოკლენდელებმა მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს. დარჩენილ დროში ბევრი არაფერი შეცვლილა. პორტლენდი მდევრის როლში იყო და ამაოდ ცდილობდა მწყობრად მოთამაშე გოლდენ სტეიტთან მიახლოვებას. საბოლოოდ კალიფორნიულმა კლუბმა 128:103 იმარჯვა და პლეი ოფის მეორე წრეში, ანუ დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა.

გოლდენ სტეიტს ამ მატჩში დაუბრუნდა კევინ დიურანტი, რომელიც მხოლოდ 20 წუთი ათამაშეს. დიურანტს ჯაფა არ დასდგომია, ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ მისი თანაგუნდელები, რომელთაგან 37 ქულით, 8 პასით და 7 მოხსნით საუკეთესო სტეფ კარი იყო. 21 ქულა მიითვალა დრეიმონდ გრინმა, ხოლო კლეი ტომპსონის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

სერიის მარტივად მოგებით გოლდენ სტეიტი პლეი ოფში გავიდა და მომავალი ბრძოლისთვის მოსამზადებლად საკმაო დრო აქვს. ოკლენდელები ელიან კლიპერსსა და იუტას შორის გამარჯვებულს, სადაც სერიის ანგარიში ჯერ თანაბარია – 2:2.

# გოგა ბითაძე — ქართული კალათბურთის მომავალი

ქართული კალათბურთის მომავალ იმედად აუცილებლად უნდა შევრაცხოთ გოგა ბითაძე.

საგარეჯო საკალათბურთო რუკაზე ცნობილი ნამდვილად არ არის. მეგა ლეკსის ცენტრი გოგა ბითაძე სწორედ საგარეჯოდანაა. 211 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე კალათბურთელის დამსახურებაც არის, რომ სერბულმა კლუბმა ევროლიგის ახალგაზრდული ლიგის ბელგრადული ეტაპის ფინალში ითამაშა. მართალია, მეგა ლეკსმა აღნიშნული მატჩი წააგო, თუმცა, მალევე ლიგის ხელმძღვანელობისგან უაილდ-ქარდი მიიღო და მაისში სტამბულში დაგეგმილ ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

– ეს დიდი მოვლენაა. ჩვენ ძალიან ნიჭიერი გუნდი გვყავს და თუკი ყველანი ჯანმრთელად ვიქნებით, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. სტამბულში წარმატებას დიდი მნიშვნელობა აქვს, – აღნიშნა ბითაძემ, რომელიც ბელგრადულ ტურნირში საშუალოდ 16.5 ქულას, 12.0 მოხსნას, 1.3 პასსა და 2.8 დაფარებას აგროვებდა.

ბითაძე კალათბურთის გარემოში ნამდვილად არ გაზრდილა, ამ თამაშამდე მისმა სიმაღლემ მიიყვანა, როდესაც 6 წლის გახლდათ.

– ძალიან აქტიური და მაღალი ბავშვი ვიყავი, ამდენად, მშობლებმა ჩემი კალათბურთზე მიყვანა გადაწყვიტეს. რომელიმე მოთამაშის მიბაძვით ნამდვილად არ ვიზრდებოდი, რადგანაც კალათბურთს იშვიათად ვუყურებდი, თუმცა, დროთა განმავლობაში ეს თამაში ძალიან შემიყვარდა და ყურებაც დავიწყე.




გოგას საყვარელი კალათბურთელი თორნიკე შენგელიაა, რომელიც ამჟამად ესპანურ ბასკონიაში თამაშობს, ასევე – შაკილ ონილი და პაუ გასოლი.

– შენგელია იმიტომ, რომ ძალიან მომწონს, როდესაც მისნაირი ათლეტური კალათბურთელი ასე სწრაფად მოძრაობს. შაკი და პაუ კი ნბა-ს დომინანტ ცენტრთა შორის ფიგურირებენ.

ბითაძემ პირველად თავი 2015 წელს 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში გამოიჩინა, როდესაც საქართველოს ნაკრებს საშუალოდ 14.2 ქულით, 8.9 მოხსნითა და 3.7 დაფარებით დაეხმარა და დასავლეთევროპული კლუბების ინტერესის სფეროში მოხვდა. შემდეგ იყო თბილისური ვითა და ვთბ-ლიგაში გატარებული სეზონი, საიდანაც 2015 წლის დეკემბერში მეგა ლეკსს მიაშურა.

ბითაძემ ევროლიგის ახალგაზრდულ ლიგაში 2015 წელსვე ითამაშა, როდესაც მეგა ლეკსში მხოლოდ რამდენიმე კვირის მისული იყო და საშუალოდ 7.8 ქულა და 4.0 მოხსნაც მიითვალა, მისმა კლუბმა კი რომში გამართულ ეტაპზე პირველობა არავის დაუთმო. ფინალური რაუნდი უკვე ბერლინში შედგა და იქ ქართველი ცენტრის საშუალო მონაგარი 4.7 ქულა, 5.3 მოხსნა და 1.0 დაფარება იყო. ამ ციფრებმა საგრძნობლად იმატა მიმდინარე წლის თებერვალში.

ბითაძემ ახალგაზრდული ევროლიგის ბელგრადულ ეტაპზე 3 ორმაგი დუბლი შეასრულა. მათ შორის იყო 21 ქულა და 18 მოხსნა ფინალში, სერბულ ცრვენა ზვეზდასთან. გასაკვირი არ ყოფილა, რომ გოგა აღნიშნული ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ბითაძეს გარჯა სერბეთის ეროვნულ ჩემპიონატშიც უწევს, სადაც სმედერევოს რიგებშია განათხოვრებული.

სერბულ ლიგაში მისი საშუალო მონაგარი 10.6 ქულა, 4.4 მოხსნა და 1.2 დაფარებაა.

# თბილისში ჩამომსვლელი ყველა გუნდის ვინაობა ცნობილია



დასრულდა პანამერიკული თამაშები ხელბურთში 19 წლამდე ასაკის ხელბურთელთა შორის და გაირკვა ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი. ტურნირი 2017 წლის 8-20 აგვისტოს თბილისის ოლიმპიური სასახლეში „ჩეკ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში გაიმართება.

ამერიკის კონფედერაციიდან 5 საგზური მოიპოვეს არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს, ვენესუელისა და მექსიკის გუნდებმა. 5 ამერიკული გუნდის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით მიიღო 11 ქვეყანამ, აფრიკისა და აზიის სამ-სამმა საუკეთესო გუნდმა. ოკეანის წარმომადგენლის ადგილი ერგო ევროპის მეთორმეტე გუნდს, ნორვეგიას, ხოლო ტურნირის 24-ე მონაწილე მასპინძელია – საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები.

შეჯიბრების წილისყრა გაიმართება 11 მაისს, ბაზელში, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფისში. უკვე ცნობილია განთესვაც.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მესამე კალათაშია სერბეთს, ბრაზილიასა და შვედეთთან ერთად. ამ ოთხ გუნდს ბოლოს უყრიან წილს და მასპინძელ ფედერაციას ჯგუფის არჩევის საშუალება ექნება.

**სრული განთესვა ასეთია:**

1 კალათი: საფრანგეთი, ხორვატია, გერმანია, სლოვენია;

2 კალათი: დანია, ესპანეთი, ისლანდია, არგენტინა;

3 კალათი: საქართველო, სერბეთი, ბრაზილია, შვედეთი;

4 კალათი: პორტუგალია, რუსეთი, ბაჰრეინი, ტუნისი;

5 კალათი: ეგვიპტე, იაპონია, კორეა, ჩილე;

6 კალათი: ვენესუელა, ალჟირი, მექსიკა, ნორვეგია.

# ოტმარ ჰიტცფელდი: „ამ მკერდში ორი გულია“



დღეს საღამოს გერმანიის თასის ნახევარფინალში დორტმუნდის ბორუსია მიუნხენის ბაიერნს დაუპირისპირდება.

რომელ კლუბს უგულშემატკივროს ლეგენდარულმა გერმანელმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა, რომელიც ადრე ორივე კლუბს ხელმძღვანელობდა, ვერ აურჩევია.

ოტმარ ჰიტცფელდმა მწვრთნელის რანგში 2-ჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ 1997 წელს, როდესაც დორტმუნდის ბორუსიას ედგა სათავეში და ჩემპიონთა ლიგის ფინალში იუვენტუსი დაამარცხა, ხოლო შემდგომ 2001 წელს ბავარიასთან ერთად, როდესაც მიუნხენური გრანდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვალენსიას დაუპირისპირდა.

ჰოდა, ამის გამო ჰიტცფელდმა არ იცის თუ ვის უგულშემატკივროს – მკერდში 2 გული მაქვს, – ამბობს 68 წლის ლეგენდარული მწვრთნელი.

გერმანელი მწვრთნელი ასევე ბავარიის მომავალსაც შეეხო და იმედოვნებს, რომ ფრანკ რიბერისა და არიენ რობენის წასვლის შემდეგ მიუნხენურ კლუბში დიდი ინვესტიციების ჩადება უნდა მოხდეს.

# ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია

საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონია და ეს საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა – მინსკში მიმდინარე ევროპის პირველობის ფინალში ჩვენმა გუნდმა იტალია დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები შარშან პირველად გავიდა ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში, თუმცა რუსეთთან დამარცხდა და ვიცეჩემპიონობას დასჯერდა, წელს კი შარშანდელ



ჩემპიონს ნახევარფინალში სძლია – 45:41. მანამდე ქართველებმა პირველ წრეში ბულგარეთს 45:34 სძლიეს, მეოთხედფინალში კი, რუმინეთი 45:31 დაამარცხეს.

ფინალში მეტოქედ იტალია ერგო – ჩვენებმა 45:36 დაამარცხეს მეტოქე და ოქროს მედლები ირგუნეს.

# პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ნგოლო კანტეა



ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგამ პრემიერლიგის „წლის ფეხბურთელი“ გამოავლინა – 2016-17 წლების სეზონში საუკეთესო ფეხბურთელი ჩელსის ნახევარმცველი ნგოლო კანტე გახდა.

ფრანგი ნახევარმცველი გასული წლის ჩემპიონია ლესტერის შემადგენლობაში, მაგრამ შარშან ეს ჩუმი, მოედანზე ბევრისთვის შეუმჩნეველი „შავი მუშა“ ჯეიმი ვარდისა და რიად მარეზის ჩრდილში „ჩაიკარგა“. არადა, სულაც არ იყო ასე და თავისი პროდუქტიულობით, აშკარად ლიდერი იყო.

კანტეს ეს პროდუქტიულობა ახლა უკვე ჩელსიშიც ჩანს და ახალ გუნდში ლიდერად იქცა. იმ გუნდში, რომელიც პრემიერლიგის ჩემპიონობის რეალური კანდიდატია და კანტეს შანსი აქვს ზედიზედ მეორედ გახდეს პრემიერლიგის გამარჯვებული.

წლის საუკეთესოს ნომინაციაში 26 წლის კანტემ ხმების რაოდენობით ედენ აზარს, ჰარი კეინს, რომელუ ლუკაკუსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს აჯობა.

**ნგოლო კანტე:**

– ეს დიდი პატივია. ძალიან, ძალიან ამაყი ვარ! როდესაც საუკეთესოდ ფეხბურთელები დაგასახელებენ, ორმაგად სასიხარულოა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთი გუნდური სახეობაა და ამიტომ ეს ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. მადლობა მათ და ფანებს.

ჩელსის ჩემპიონობაში მხოლოდ ტოტენჰემი თუ შეეცილება, რომლის ფეხბურთელი დელე ალი წლის საუკეთესო ახალგაზრდა გახდა. ინგლისელმა ეს ტიტული ზედიზედ მეორედ ირგუნა.

ალი სულ მე-2 სეზონს ატარებს პრემიერლიგაში და მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 16 გოლი აქვს გატანილი. ამასთან, ალი ნახევარმცველია.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში ჩელსისა და ტოტენჰემის 4-4 ფეხბურთელი მოხვდა, თითოც მანჩესტერის, ლივერპულისა და ევერტონის. სიმბოლურში ვერ მოხვდნენ ალექსის სანჩესი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ფილიპე კოუტინიო, რამაც დავა-კამათი გამოიწვია.

**წლის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:**

დე ხეა (მანჩესტერი), როუზი (ტოტენჰემი), კეჰილი (ჩელსი), დავიდ ლუიზი (ჩელსი), უოკერი (ტოტენჰემი), კანტე (ჩელსი), ალი (ტოტენჰემი), მანე (ლივერპული), აზარი (ჩელსი), კეინი (ტოტენჰემი), ლუკაკუ (ევერტონი).

# შედეგები

**24 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნიუკასლი-პრესტონი ...................... 4:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-ბილბაო ............................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 23 | 6 | 4 | 94-32 | 75 |
| 2.რეალი | 32 | 23 | 6 | 3 | 84-36 | 75 |
| 3.ატლეტიკო | 33 | 20 | 8 | 5 | 60-24 | 68 |
| 4.სევილია | 33 | 19 | 8 | 6 | 58-39 | 65 |
| 5.ვილიარეალი | 33 | 16 | 9 | 8 | 48-27 | 57 |
| 6.ბილბაო | 33 | 17 | 5 | 11 | 46-37 | 56 |
| 7.სოსიედადი | 33 | 17 | 4 | 12 | 49-45 | 55 |
| 8.ეიბარი | 33 | 14 | 8 | 11 | 52-45 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 33 | 13 | 10 | 10 | 44-43 | 49 |
| 10.სელტა | 32 | 13 | 5 | 14 | 48-52 | 44 |
| 11.ალავესი | 33 | 11 | 11 | 11 | 32-40 | 44 |
| 12.ვალენსია | 33 | 11 | 7 | 15 | 47-56 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 33 | 10 | 9 | 14 | 52-58 | 39 |
| 14.ბეტისი | 33 | 10 | 7 | 16 | 36-51 | 37 |
| 15.მალაგა | 33 | 9 | 9 | 15 | 38-49 | 36 |
| 16.დეპორტივო | 33 | 7 | 10 | 16 | 35-51 | 31 |
| 17.ლეგანესი | 33 | 6 | 9 | 18 | 27-51 | 27 |
| 18.ხიხონი | 33 | 5 | 8 | 20 | 36-66 | 23 |
| 19.გრანადა | 33 | 4 | 8 | 21 | 27-70 | 20 |
| 20.ოსასუნა | 33 | 3 | 9 | 21 | 34-75 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-უნიონი ...................... 3:1

**იტალია. სერია ა**

პესკარა-რომა ................................. 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 27 | 2 | 4 | 68-20 | 83 |
| 2.რომა | 33 | 24 | 3 | 6 | 74-28 | 75 |
| 3.ნაპოლი | 33 | 21 | 8 | 4 | 77-35 | 71 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 60-38 | 64 |
| 5.ატალანტა | 33 | 19 | 6 | 8 | 56-37 | 63 |
| 6.მილანი | 33 | 17 | 7 | 9 | 50-37 | 58 |
| 7.ინტერი | 33 | 17 | 5 | 11 | 63-42 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 15 | 10 | 8 | 55-45 | 55 |
| 9.ტორინო | 33 | 12 | 12 | 9 | 63-54 | 48 |
| 10.სამპდორია | 33 | 12 | 9 | 12 | 41-41 | 45 |
| 11.უდინეზე | 33 | 12 | 7 | 14 | 43-44 | 43 |
| 12.კალიარი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-64 | 38 |
| 13.კიევო | 33 | 11 | 5 | 17 | 36-52 | 38 |
| 14.სასუოლო | 33 | 10 | 6 | 17 | 42-52 | 36 |
| 15.ბოლონია | 33 | 9 | 8 | 16 | 31-49 | 35 |
| 16.ჯენოა | 33 | 7 | 9 | 17 | 32-57 | 30 |
| 17.ემპოლი | 33 | 7 | 8 | 18 | 22-51 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 6 | 6 | 21 | 28-53 | 24 |
| 19.პალერმო | 33 | 3 | 7 | 23 | 27-73 | 16 |
| 20.პესკარა | 33 | 2 | 8 | 23 | 32-74 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

ვიჩენცა-ნოვარა .............................. 3:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლანსი .............................. 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-შავიში ........................ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ადანა ............................. 3:2

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი აუტი**

ორხუსი-ოლბორგი ........................... 4:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-დიურგარდენი ................... 3:2

სირიუსი-კალმარი ........................... 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ჰაუგესუნდი-მიოლდე ..................... 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიფკი-ლახტი .................................. 1:2

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის პერიფერიული ნერვების დაზიანება

ეკა ირემაშვილი

პერიფერიული ნერვების დაზიანება ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და რთული ტრავმაა, რომელიც ძირითადად გხვდება ახალგაზრდა ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებას, ხშირად განაპირობებს შრომისუნარიანობის ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვას, აიძულებს პაციენტებს შეიცვალონ პროფესია, არცთუ ისე იშვიათია ინვალიდიზაცია. აქედან გამომდინარე დროული დიაგნოსტიკა და სწორად წარმართული მკურნალობა უმნიშვნელოვანესია კარგი შედეგის მისაღწევად.

რა იწვევს პერიფერიული ნერვების დაზიანებას, როგორია პირველადი სიმპტომები და როგორ ხდება მკურნალობა, ამ თემებზე პლასტიკური ქირურგი თეიმურაზ გურჯიძე საუბრობს.



**თეიმურაზ გურჯიძე:**

– პერიფერიული ნერვების დაზიანება შესაძლებელია იყოს ღია ან დახურული.

დახურული დაზიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, რბილი ქსოვილების ზეწოლით, ძვლების მოტეხილი ფრაგმენტებით, სიმსივნის ზეწოლით და ა.შ. აღნიშნული მიზეზების ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანების დროს შედარებით იშვიათია ნერვული ღეროს სრული დაზიანება.

ღია დაზიანება გხვდება ჭრილობების დროს – მინის ნამსხვრევებით, დანით, თუნუქის ნაჭრით, მჭრელი ელექტრო იარაღებით... აღნიშნული დაზიანების დროს გამოვლენილი ჩივილები გამოწვეულია სხვადასხვა ნერვების დაზიანების კლინიკური ნიშნებით.

***– როგორია პერიფერიული ნერვების დაზიანების კლინიკური ნიშნები?***

– მგრძნობელობის გამოვარდნა, როგორც წესი, ყოველთვის თან ახლავს ნერვის დაზიანებას და შეესაბამება მის საინერვაციო ზონას და იგი ვლინდება ტრავმის მიღებისთანავე. ნერვის მთლიანობის აღდგენის გარეშე მგრძნობელობა არ აღდგება, რაც წარმოადგენს დამწვრობის, მოყინვის ან სხვა დაზიანების მიღების დამატებით საფრთხეს ტაქტილური მგრძნობელობის არარსებობის გამო.

მამოძრავებელი ფუნქციის გამოვარდნა ვლინდება აღნიშნული ნერვის მაინერვირებელი კუნთების ფუნქციის დაკარგვით. რაც გამოვლინდება სხვადასხვა მოძრაობის შესრულების შეუძლებლობით ან მკვეთრი შეზღუდვით. მაგალითად, თითების და მაჯის გაშლის შეუძლებლობა სხივის ნერვის დაზიანების დროს.

ვაზომოტორული ინერვაციის არარსებობის გამო, კიდურის კანი დაზიანებული ნერვის საინერვაციო არეში ვარდისფერია, ცხელია შეხებით – ცხელი ფაზა, სამი კვირის შემდეგ დგება ე.წ ცივი ფაზა, კანი აღნიშნულ მიდამოში იღებს მოლურჯო-ბორდოსფერ შესახედაობას, შეხებით გრილია ჯანმრთელ სეგმენტთან შედარებით. ხშირად დაზიანებული ნერვის საინერვაციო არეში ვითარდება პათოლოგიური მგრძნობელობა.

ტროფიკული დარღვევები გამოვლინდება კანის „გათხელებით", ვიზუალურად ხდება გლუვი, მოელვარე ელფერის. კანის ტურგორი და ელასტიკურობა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ტრავმატიზაციის და ტროფიკული წყლულების განვითარების ხარისხს. ვითარდება საფრჩხილე ფალანგის გამუქება, გაწვრილება, კანი თითქოს „გადაკრულია" მასზე. ფრჩხილი არასწორად იზრდება. თითის წვერი წამახვილებულია, სამკუთხა ფორმისაა. შორეულ შემთხვევებში ტროფიკული ცვლილებები ვრცელდება მყესებზე, იოგებზე, სასახსრე ჩანთებზე. სახსრებში მოძრაობები იზღუდება კიდურის იძულებითი უმოძრაობის გამო.

***– რას იტყვით სხივის ნერვის დაზიანებაზე?***

– სხივის ნერვის დაზიანების დროს მხრის დონეზე სახეზეა მისთვის დამახასიათებელი ე.წ „ჩამოვარდნილი-ჩამოკიდებული" მტევნის კლინიკური სურათი. რაც გამოწვეულია მაჯისა და თითების გამშლელი კუნთების პარალიზით. ამის გარდა, შეუძლებელი ხდება პირველი – ცერა თითის განზიდვა, სუსტდება წინამხრის სუპინაცია და მაჯის აქტიური მოხრითი მოძრაობები მხარ-სხივის კუნთის ინერვაციის დარღვევის გამო.

სხივის ნერვის ტრავმის დროს უფრო დისტალურად, მაგალითად, წინამხრის შუა და ქვედა მესამედში ვითარდება მხოლოდ მგრძნობელობითი დარღვევები.

მიუხედავად დაზიანების დონისა, შუათანა ნერვის ტრავმული დაზიანებისას მგრძნობელობის გამოვარდნა ვითარდება მტევნის, I, II, III თითების ხელისგულის ზედაპირზე და IV თითის ნახევარზე სხივის მხრის ზედაპირზე. მგრძნობელობა ირღვევა აგრეთვე I, II, III საფრჩხილე ფალანგების ხელის ზურგის ზედაპირზე. დარღვეულია აგრეთვე სტერეოგნოტიური მგრძნობელობა, ანუ ე.წ თითებით „მხედველობა". პაციენტი ვერ ახერხებს აღიქვას საგნის ფორმა, ზომა, კონსისტენცია, ტემპერატურა მათზე შეხებისას. ამასთანავე ადამიანი ვერ ახერხებს გამოიყენოს თითები მხედველობითი კონტროლის გარეშე.

***– რა სიმპტომები ახასიათებს დაზიანების ადრეულ ეტაპს?***

– დაზიანების ადრეულ ეტაპზე ვლინდება ვაზომოტორული, სეკრეტორული, ტროფიკული დაზიანებები. ხელისგულზე კანის ნაოჭები, კანი მშრალია, ციანოზურია, იქერცლება, ადვილად ზიანდება. ფრჩხილები დეფორმირდება, მსხვრევადია, ზრდა შენელებული, I, II, III თითები წვრილდება, ატროფირდება – განილევა კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი.

მოტორული ფუნქციის გამოვარდნის ხარისხი და კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია შუათანა ნერვის დაზიანების დონეზე. რაც უფრო მაღალია მხრის სახსართან ახლოს დაზიანება, მით მეტია მოტორული დეფიციტი.

შუათანა ნერვის მაღალი დაზიანებისას პირველი, მეორე და ან მესამე თითის მოხრა შეუძლებელია, გამოხატულია ე.წ. „პისტოლეტის" სიმპტომი. მტევნის მოხრა მაჯაში გართულებული ან შეუძლებელია. მტევანზე არსებული კუნთები, მათი მასის სიმცირის გამო, სწრაფად ატროფირდება, დაზიანების პირველი თვიდან საბოლოოდ ხდება მათი ფიბროზული გადაგვარება. ატროფირდება აგრეთვე მტევნის ყველაზე დიდი კუნთი – დიდი ტენარა კუნთი, რაც კლინიკურად გამოვლინდება პირველი თითის მიმდებარედ არსებული ამობურცულობის გაქრობით. მტევნის კუნთების ჰიპოტროფიას თან სდევს დახვეწილი მოძრაობების შესრულების შეუძლებლობა – მაგალითად, წერა, ღილის შეკვრა, წვრილი საგნების აღება. დიდი თითი „გადადის" სხვა თითების სიბრტყეში და ვითარდება ე.წ „მაიმუნის" თათის მაგვარი მტევანი.

***– რაც შეეხება იდაყვის ნერვის დაზიანებას?***

– იდაყვის ნერვის დაზიანებისას წამყვან სიმპტომს წარმოადგენს მოტორული ანუ მამოძრავებელი ფუნქციის გამოვარდნა მტევანსა და თითებში, თუმცა მას თან ახლავს მგრძნობელობითი დარღვევები. იმის გათვალისწინებით, რომ იდაყვის ნერვი დატოტვას იწყებს, წინამხრის დონეზე კლინიკური გამოვლინება, დაზიანების დონის მიუხედავად, მსგავსია მხრის სახსრიდან წინამხრის ზედა მესამედამდე დაზიანებისას.

იდაყვის ნერვის დაზიანება კლინიკურად შემდეგნაირად გამოვლინდება: მეოთხე და მეხუთე თითების გაშლის შეუძლებლობა, მეხუთე თითში არ წარმოებს განზიდვა, გამოვარდნილია მაკრატლისებური მოძრაობები მეორე და მესამე თითებში. მტევანსა და თითებში ძალა დაქვეითებულია – დაახლოებით 10-12-ჯერ ნაკლებია ჯანმრთელ ხელთან შედარებით, შეუძლებელია პირველი თითის მოზიდვა, დაზიანებიდან დაახლოებით 1-2 თვის შემდეგ მკვეთრადაა გამოხატული კუნთების ატროფია – განლევა მტევანზე, განსაკუთრებით სწრაფად გამოიხატება ხოლმე კუნთის ჩავარდნა პირველ და მეორე თითებშუა სივრცეში. ძვალთაშუა და ჭიაყელა კუნთების განლევის გამო მკვეთრად ვიზუალიზდება ნების ძვლები, მტევნის დორსალურ ზედაპირზე. მოგვიანებით მტევანი დეფორმირდება, მეოთხე და მეხუთე თითები გადადის მოხრით და მკვეთრად წამოწეულ პოზიციაში, მუშტის შეკვრისას IV და V თითები ვერ აღწევენ ხელისგულის ზედაპირს, ვერ ხერხდება კაწვრითი მოძრაობების შესრულება აღნიშნული თითებით. საბოლოოდ ყალიბდება „კატის ბრჭყალისებური" მტევანი.

კანის მგრძნობელობის დარღვევა იდაყვის ნერვის დაზიანებისას შედარებით ვარიაბელურია, თუმცა უხშირესად ვითარდება მეხუთე თითზე, მეოთხე თითის იდაყვისმხრივ ზედაპირსა და მტევნის იდაყვისმხრივ ნაწილზე. როგორც ხელისგულის, ასევე ხელის ზურგის ზედაპირებზე.

ვაზომოტორული და სეკრეტორული ფუნქციის დარღვევა ხდება მტევნის იდაყვისმხრივ ნაწილზე, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს უფრო მეტ ფართობს მგრძნობელობა დარღვეულ ნაწილთან შედარებით.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ფლორიდელმა ძაღლი დაკბინა



ამერიკის ფლორიდის შტატში პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელმაც ძაღლი დაკბინა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პოლიციის მონაცემებით, 30 წლის ზაქარი კელიმ რამდენჯერმე უკბინა ყურზე თავის მეგობარ გოგონას ძაღლს, შემდეგ ეჩხუბა ძმას, რომელიც ცხოველს გამოექომაგა და მას მკერდზე უკბინა.

ეჭვმიტანილი ამტკიცებს, რომ მას სურდა, ჭკუა ესწავლებინა ძაღლისთვის მისი უმსგავსო ქცევისთვის. ცხოველს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

კელის ბრალი ედება ცხოველის მიმართ სასტიკ მოპყრობასა და დაშავებაში. მოსამართლემ, რომელმაც მისი საქმე განიხილა, დაზარალებულ ძმასთან და ძაღლთან ურთიერთობა აუკრძალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი
### 26 აპრილისათვის



**ვერძი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი პრობლემები ჩნდება. საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ და შეეცადეთ, ნაკლოვანებები გამოისწოროთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **კურო** – დღეს დაუმთავრებელ საქმეებს მიხედეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – ყოველგვარი კონტაქტი მინიმუმამდე დაიყვანეთ. ყველა შეხვედრა გადადეთ. მოსალოდნელია არაკეთილმოსურნე ადამიანთა ნეგატიური ზეგავლენა. **კირჩხიბი** – დღევანდელი დღე საშინაო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. საღამო საკუთარ თავს მიუძღვენით, დაისვენეთ და მაქსიმალურად გაერთეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ეჭვიანი. ეცადეთ, თქვენი ღირსებები მთელი სისრულით წარმოაჩინოთ. პარტნიორის თავისუფლების შეზღუდვას ნურც იფიქრებთ. **ქალწული** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე იფიქრეთ. დღეს ფიზიკური დატვირთვა საჭირო არ არის. **სასწორი** – წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. შესაფერისი დღეა ნებისმიერი კომერციული საქმიანობისათვის. იყავით კეთილგონიერი და ტაქტიანი. **ღრიანკალი** – ეცადეთ, სახლში მყუდრო გარემო შექმნათ. ენერგეტიკული პოტენციალი იზრდება. ხვალინდელი დღის რწმენა გიძლიერდებათ. **მშვილდოსანი** – ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ და თქვენც იოლად ნურავის მიენდობით. შესაძლოა, მოტყუებული აღმოჩნდეთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თხის რქა** – ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. გარშემომყოფებს თქვენს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლებას ნუ მისცემთ. **მერწყული** – ოჯახში პრობლემები იჩენს თავს, რომელთა მოსაგვარებლად კეთილგონიერება და სიბრძნეა საჭირო. საღამოს თუ განმარტოვდებით, სულიერ ძალებს მოიკრებთ. **თევზები** – სამოგზაუროდ წასასვლელად მშვენიერი დღეა. დაისვენეთ, გაერთეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 2. ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი მამაკაცი; 3. სპარსელი პოეტი; 5. ორსართულიანი ლაზური სახლი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. ცნობილი ამერიკელი მომღერალი, კინომსახიობი მამაკაცი; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. სადაზღვევო მოწმობა; 16. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. ოჯახის მფარველი ღვთაება ძველ რომში; 4. ქართული ჟურნალი; 9. შესანახად დამჟავებული ბოსტნეული; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. ლატვიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მწდე; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. ჭიკარტი; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. გალიფე; 16. ბჟუჟი.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. ანაკლია; 12. პრობაცია; 13. ტაბორი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქვაწვია; 2. სინათლე; 3. მეთუნე; 4. ვისლა; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. ხერსონი; 16. ქაჯანა; 17. მელუა; 18. აგარა; 20. გრილი; 22. ლუტი.

**თარაზულად:** 6. ვალაბი; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. მენჯი; 13. ალუჩა; 14. კოქტეილი; 19. ბერინგი; 21. ჭედილა; 23. განჯა; 24. ბულიტი; 25. ანტალია; 26. ლაჟვარდი.

# დეკანოზი ილია ჭიღლაძე: „ლათინური ანბანით ქართული ტექსტის დაწერა ანტიქართული და არაწიგნიერი ქცევაა“



ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფო ქართული ენის დასაცავად არაფერს აკეთებს, მეტიც, კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ამ დრომდე არც კი განხილულა.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ინტერნეტმომხმარებლებს სთხოვს, ქართული ტექსტი ლათინური ანბანით არ დაწერონ:

– მიუღებელია ლათინური ანბანით ქართული ტექსტის დაწერა. ქართული ტექსტი წერეთ ქართული უნიკალური ანბანით!!! ლათინური ანბანით ქართული ტექსტის დაწერა არის ბარბარიზმი, ანტიკულტურული, ანტილიტერატურული, ანტიქართული, არაწიგნიერი ქცევა!

ეს, ცხადია, არ ეხება ისეთ სიტუაციებს, როცა სხვა შესაძლებლობა ტექნიკურად არ გაგვაჩნია. თუმცა, ასეთ ტექნიკაში ქართული ანბანის ჩატვირთვაზე ზრუნვა მეტად საჭირო და სავალდებულო საქმედ უნდა გავიხადოთ.

# მომღერალი არჩილ ჩიხლაძე მოხუცთა თავშესაფარშიც მღერის



84 წლის მომღერალი არჩილ ჩიხლაძე უმძიმესი საცხოვრებელი პირობების გამო გასულ წელს მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ თავი მშვიდად იგრძნოს. მაყვალა და არჩილ ჩიხლაძეების დუეტის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ავტორია ყველასთვის კარგად ნაცნობი სიმღერისა „კართან მოდგა შემოდგომა“, მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის ხშირად მღერის.

ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, სადაც მომღერალი მოხუცებისთვის ცნობილ სიმღერას „მახინჯი ვარ“ ასრულებს. ვიდეოს უამრავი მოწონება და თბილი კომენტარი აქვს. ინტერნეტმომხმარებლები წუხილს გამოთქვამენ, რომ ერთ დროს ასეთი ცნობილი და პოპულარული მომღერალი დღეს, ყველასგან მიტოვებული, მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს.

# ლაშა ღლონტი ბაბუა გახდა



მომღერალი ლაშა ღლონტი ბაბუა გახდა. ანი ღლონტსა და მის მეუღლე თორნიკე მაისურაძეს ბიჭი შეეძინათ. პატარა გაგუას კლინიკაში 3.400 კგ და 51 სმ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ინტერნეტში ახალბედა დედიკომ ფოტო გაავრცელა, სადაც მისი ბიჭის მონაცემებია აღბეჭდილი, ჩვილის ფოტო კი ჯერჯერობით არ ვრცელდება.

ანი და თორნიკე გასული წლის ზაფხულში დაქორწინდნენ. ისინი ერთმანეთს სიმღერამ დააკავშირა. მათ გრანდიოზული ქორწილი გადაიხადეს, სადაც საზოგადოებისთვის ცნობილი უამრავი ადამიანი მიიწვიეს.

# პანდის ბელმა გოგონას თავზე უკბინა



ჩინეთის ერთ-ერთი ზოოპარკის ბინადარმა პანდის ბელმა გოგონას თავზე უკბინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტვიტერში საკუთარ გვერდზე ერთ-ერთმა თურქულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. გოგონა ხეზე მჯდომ ცხოველთან მივიდა, რათა მასთან ფოტოსურათი გადაეღო. ამ დროს პანდა მისკენ დაიხარა, პირი დააღო, თმებში ჩაავლო და თავისკენ დაქაჩა. დამთვალიერებელს ზოოპარკის თანამშრომელი პანდისგან გათავისუფლებაში დაეხმარა. საბედნიეროდ, დამთვალიერებელი ამ შემთხვევის შედეგად არ დაზიანებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თემო კილაძე: „გავანადგუროთ ფილმები: „გიორგი სააკაძე“, „ბაში აჩუკი“, „მაია წყნეთელი“...



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თემო კილაძე ამ თხოვნით საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მიმართავს:

– თხოვნა მაქვს დღევანდელ ხელისუფლებასთან – გავანადგუროთ ფილმები „გიორგი სააკაძე“, „ბაში აჩუკი“, „მამელუქი“, „მაია წყნეთელი“ და ა. შ. პროზა და პოეზია – ყველაფერი, რაც კი დიდად პატივცემულ მეზობლებს არ სიამოვნებთ.

გადავწეროთ ისტორია, იქნება სულაც ოსმალო ვართ. ვფიქრობ, კიდევ რა გაკადროთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც მოახერხებთ საქართველოს ისტორიაში შავ ფურცელზე შავი ასოებით შესვლას.

# „იმედის დილა“ დაიხურა

ტელეკომპანია „იმედში“ რეორგანიზაცია დაიწყო. დაიხურა გადაცემა „იმედის დილა“, რომელიც 25 აპრილს უკანასკნელად გავიდა ეთერში.

ინფორმაცია ამის შესახებ გადაცემის წამ-




ყვანებმა გადაცემის მსვლელობის დროს პირდაპირ ეთერში გააჟღერეს. ოთარ ტატიშვილი, თაკო ჩორგოლაშვილი და ნიკა დვალიძე მაყურებელს პირდაპირ ეთერში დაემშვიდობნენ.

– შეუძლებელია, ორ წუთში ვისაუბრო იმ ემოციებზე, რომლებიც მაკავშირებს ამ ტელეკომპანიასთან, ამ სტუდიასთან. ცოტა წარმოუდგენელიცაა, რომ დილის 5 საათზე მაღვიძარა აღარ გამაღვიძებს აქ მოსასვლელად... მადლობა თქვენ, რომ გვიყურებდით, იღვიძებდით ჩვენთან ერთად. იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს, – განაცხადა თაკო ჩორგოლაშვილმა.

# ანდრია გველესიანი კოლეგებმა გაანაწყენეს



მსახიობი და მომღერალი ანდრია გველესიანი კოლეგებმა გაანაწყენეს. წყენას ხელოვანი არ მალავს და ამის შესახებ სოციალურ ქსელში საჯაროდ წერს:

– მოდი, ნურარავინ ნუ მიმიწვევთ სტუმრის სტატუსით გადაცემაში, რომელშიც განიხილავენ თემას პროექტზე, სადაც მე ფინალისტი ვიყავი...

თუ 5 საათის განმავლობაში კითხვას არ დამისვამთ თემასთან და პროექტთან დაკავშირებით და ბოლოს მოგდებულ კითხვაზე პასუხსაც თუ ამომიჭრით...

მეტს აღარ დავაკონკრეტებ... ისევ ჩემი მეგობრების გამო, რომელთაც წარმატებას ვუსურვებ... მაგრამ შეცდომის გამოსწორების უფლებას მოგცემთ.

# გერგეტის სამებითა და სვანური კოშკებით იტალიური პრესა დაინტერესდა


GEORGIA
il gioiello del Caucaso

Focus Storia propone ai suoi lettori un viaggio in Georgia, Paese che si sta aprendo al mondo: monasteri, città rupestri, castelli e villaggi medioevali disseminati in un incredibile scenario montano sono il "menu" di questo tour che prevede una guida locale e un accompagnatore archeologo. Prima tappa Tbilisi, antico crocevia eurasiatico, con i suoi caravanserragli. Passando per Mtskheta, l'antica capitale religiosa, e Kazbegi, si raggiunge poi la città rupestre di Uplistsikhe: gli archeologi che lavorano nella zona dal 1957 hanno riportato alla luce circa la metà del sito. Si prosegue poi verso il confine con la Turchia: Vardzia, città rupestre su 13 livelli, e poi Kutaisi, la destinazione di Giasone in cerca del Vello d'Oro. Poi il Monastero di Gelati e, più oltre, lo Svaneti. Per arrivare infine a Zugdidi e al porto di Batumi, sul Mar Nero. Tutti i dettagli su www.viaggilevi.com/focus-storia

UN SALTO NEL TEMPO.
La chiesa della Trinità di Gergeti (sopra) e (a lato) la torre medioevale di Ushguli, nello Svaneti.

ქართული ხუროთმოძღვრების განსაკუთრებული ძეგლებით გერგეტის სამებითა და სვანური კოშკებით იტალიური პრესა დაინტერესდა.

ქართველი საოპერო მომღერალი ნანა ქავთარაშვილი იტალიური ჟურნალის ფოტოს აქვეყნებს, სადაც გერგეტის სამება და სვანური კოშკი კავკასიის უძვირფასეს სამკაულებად არის მოხსენიებული:

– ამ იტალიურ ჟურნალში ვნახე გერგეტის სამებისა და სვანური კოშკის უშგულის სურათები და საქართველო მოხსენიებულია, როგორც კავკასიის უძვირფასესი სამკაული.

# თაფანის ეკლესია აღდგენილია



ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე თაფანის ეკლესია მთლიანად აღდგენილია.

თაფანიდან სამხრეთით, მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე, ნასოფლარ მირტაშენიდან 1,5 კილომეტრში კლდოვან ადგილზე დარბაზული ეკლესია მდებარეობს. ძეგლი უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ ხელშეწყობით ნანგრევებად ქცეული ნაგებობის რეაბილიტაცია განახორციელა და დღეს იგი მთლიანად აღდგენილია.

# „გაუფრთხილდი ისტორიას“ იწყება




კულტურის პალატა უპრეცედენტო პროექტს „გაუფრთხილდი ისტორიას“ იწყებს.

პროექტი ითვალისწინებს კულტურის სფეროს წარმომადგენლების, საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით ყოველთვიურ საჯარო შეხვედრებს ახალგაზრდებთან. თბილისის უმაღლეს სასწავლებელში დაგეგმილია რუსთაველის თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის, თუმანიშვილის თეატრისა და პანტომიმის თეატრის სპექტაკლები, სტუდენტური დოკუმენტური ფილმების ფესტივალი „ჩემი ვაჟა“.

ასევე, რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები, ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანების პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის პროექტი, თეატრალური ეტიუდების კონკურსი, ლიტერატურული ნაწილი, პოეზია და მწერლობა, მუსიკალური საღამოები.

ღონისძიებების ფარგლებში მოეწყობა გამოფენები: ფერწერა, სკულპტურა, კერამიკა, მინიატურული ნივთები, ფოტოგრაფია, მინანქარი, თიხა, შუშის ხელოვნება, თექა, შოურუმი, ქუჩის ხელოვნება... გარდა ამისა, პროექტი მოიცავს შემეცნებით და სპორტულ შეჯიბრებებს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის, საქველმოქმედო აქციებს ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანების დასახმარებლად, ახალგაზრდულ კონკურსს „მე მიყვარს ჩემი თბილისი“.

პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონიალი 30 აპრილს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და დრამის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პროგრამა

**ოთხშაბათი 26 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10, 03.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 01.10** "ც სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 02.10** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**ძალაუფლებით თამაში**" (ბ.აფლეკი)

**08.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **09.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "ბელინი **1885** წელი" იერიში აფრიკაზე" **12.00** დ/ფ "სპუტნიკის წლები" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო"(მიმდინარე დღის) **17.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მორიელთა მეფე**"

**08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.15** ქრონიკა **08.15, 09.15, 14.40** სერ. "**ელიფი**" **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**ნათლია**" **2** ნაწ. **02.45** მხ/ფ "**ტრანსფორმერები 3**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუადღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" **09.00, 13.00** სერ. "**აღთქმა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**პიკასოსთან ცხოვრება**" **00.55** მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება**" **03.20** მხ/ფ "**ისტვიკელი ალქაჯები**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" II ნაწ. **10.30** დ/ფ "ველური ბუნება" **11.10** მიწათმოქმედი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **16.20** წმინდანები "წმინდა მოწამე დიმიტრი ყიფიანი" **17.00** ეპოქა და ადამიანები "სოფიკო ჭიაურელი" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ყვარყვარე**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ამბავი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ქურმუხის ტაძარი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** საუკუნის პორტრეტები "იპოლიტე ხვიჩია" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**ზემი**" **23.10** სერიასერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

**სამგლოვიარო განცხადებები**

შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ლევან დავლაძეს გარდაეცვალა მეუღლე

**ეთერ ბაქრაძე**

საზოგადოების კოლექტივი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.41 | ევრო — 2.6161 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0903 | 100 რუსული რუბლი — 4.3181 |

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისთვის





**25 აპრილიდან**

დევიდ უეისი

**როდენი**

ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 21-ე




**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**




**26 აპრილიდან**

ქართული დეტექტივი, ტომი 11

**სამხილი მარლბოროს კოლოფზე**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**27 აპრილიდან**



სერია „ქართული საუნჯე" ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები
მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**




**4 მაისიდან**

სერია „ქართული საუნჯე" ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**


## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ არ მიყვებიან ნამდვილი ქალები ცოლად ნამდვილ მამაკაცებს?

– იმიტომ, რომ ნამდვილი ქალი, პირველივე შეთავაზებაზე არ თანხმდება, ხოლო ნამდვილი მამაკაცი თხოვნას არ იმეორებს.

•••

ცოლი და ქმარი აგარაკზე წასასვლელად ემზადებიან. კაცმა ყველა სპირტიანი სასმელი გამოალაგა და ფრთხილად აწყობს ჩანთაში. ცოლი ეკითხება:

– ამდენი რად გინდა? ჩვენ ხომ მხოლოდ ორი დღით მივდივართ აგარაკზე?

– ეს ჩვენ კი არ მივდივართ აგარაკზე ორი დღით... ჩვენი შვილი რჩება სახლში ორი დღით!

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, ცალი თვალი ჩალურჯებული რატომ გაქვს?

– შენ ორივე თვალი გექნება ჩალურჯებული, თუ ჩემს მანქანაში შენ მეგობარ გოგონებს ისევ დარჩებათ საცვლები...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– ცოლად გამომყევი.

– მამაკაცი, რომელსაც ცოლად გავყვები, მამაცი და საზრიანი უნდა იყოს!

– რა, აღარ გახსოვს, წყალში დახრჩობას რომ გადაგარჩინე?

– მართალია, მამაცი ხარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზრიანიც ხარ.

– და, შენი აზრით, ნავი ვინ გადააბრუნა?

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ერთი ჭიქა ღვინო სიცოცხლეს ხუთი წლით ახანგრძლივებს.

– კი მაგრამ, შენ უკვე მესამე ბოთლს სვამ!

– უკვდავებას ვესწრაფვი.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო ორშაბათიდან ჩვენ ახალ ცხოვრებას ვიწყებთ! მე გახდომას დავიწყებ, მამაშენი მოწევას თავს დაანებებს და შენ რას იზამ?

– რა ვიცი... შემიძლია სწავლას დავანებო თავი.

•••

თავდაცვის სამინისტროს ტუალეტში დამლაგებელი ჯაჯღანებს:

– რა ვიცი, კაცმა რომ გკითხოთ, ტყვიას ტყვიაში აჯენთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტენდებზე.


## ტერ შტეგენმა რეალთან 36 ზუსტი პასი გააკეთა




ბარსელონის გერმანელმა მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენმა რეალთან შეხვედრაში სულ 43 პასი გააკეთა. აქედან 36 ზუსტი აღმოჩნდა. მეკარისთვის ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია და ტერ შტეგენს რეალის მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა აჯობა. ეს ფეხბურთელები ტონი კროოსი, დანი კარვახალი და ლუკა მოდრიჩი არიან.

ზოგადად კი ბარსელონამ რეალზე 49 ზუსტი გადაცემით მეტი გააკეთა.

ტერ შტეგენმა კარის ხაზზეც ძალიან კარგად ითამაშა და მისმა თავგანწირულმა ნახტომებმა ბარსელონა რამდენჯერმე იხსნა გოლისგან.

საბოლოოდ კატალონიელებმა 3:2 მოიგეს და რეალს ქულებით გაუთანაბრდნენ, თუმცა სამეფო გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

## მონაკომ მბაპე 130 მილიონ ევროდ შეაფასა




მონაკომ თავისი ახალგაზრდა ვარსკვლავი კილიან მბაპე 130 მილიონ ევროდ შეაფასა. სწორედ ამ თანხის გადახდა მოუწევთ იმ კლუბებს, რომლებსაც მბაპეს შეძენის სურვილი ექნებათ. მბაპე ჯერჯერობით მხოლოდ 18 წლის არის, მაგრამ მასზე უკვე ბევრი ევროპული გრანდი ნადირობს, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ უკვე შემდეგ სეზონში ის სხვა გუნდის მაისურით ვიხილოთ.

სხვა კლუბებთან შედარებით, ყველაზე მეტად რეალი და მანჩესტერ სიტი აქტიურობენ, თუმცა ამ თანხას ისინი, სავარაუდოდ, არ გადაიხდიან.

თვითონ მბაპემ განაცხადა, რომ მას ბავშვობიდან რეალის თამაში იზიდავს და მისთვის რეალში მოხვედრა ოცნების ახდენა იქნება.

## გარეთ ბეილი 3 კვირას გამოტოვებს



მადრიდის რეალის უელსელი შემტევი გარეტ ბეილი დაახლოებით 3 კვირას გამოტოვებს. ბეილმა ტრავმა ბარსელონასთან შეხვედრის დროს მიიღო, რის გამოც მან მოედანი 35-ე წუთზე დატოვა.

როგორც აღმოჩნდა, ბეილს მუხლის დაზიანება აქვს და მას რამდენიმე კვირა დასვენება დასჭირდება. დაახლოებით ერთ თვეში საკლუბო სეზონი მთავრდება, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ბეილი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეძლებს მონაწილეობის მიღებას, თუ რეალი იქ გავიდა.

ფინალი 3 ივნისს ბეილის მშობლიურ ქალაქ კარდიფში გაიმართება.

წლევანდელ სეზონში ბეილს ტრავმების გამო საკმაოდ დიდი დრო გაუცდა.

## ნიუკასლი პრემიერ ლიგაში დაბრუნდა

რაფაელ ბენიტესის გაწვრთნილი ნიუკასლი პრემიერ ლიგაში ოფიციალურად დაბრუნდა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ნიუკასლმა საკუთარ მოედანზე პრესტონ ნორტ ენდი დაამარცხა 4:1.




ნიუკასლი შარშან გავარდა პრემიერ ლიგიდან და დასაბრუნებლად მხოლოდ ერთი სეზონი დასჭირდა.

ბენიტესმა ამ სასიხარულო ამბის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ნიუკასლთან ერთად მას ახალი მიზნები აქვს:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნიუკასლი იმ ადგილს დაუბრუნდა, სადაც ყოფნა მას ეკუთვნის. ამ ერთი წლის განმავლობაში გუნდმა შესანიშნავად იმუშავა და დაიმსახურა ეს წარმატება. მომავალ წელს უფრო დიდი მიზნები გვაქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ქართველი მწერალი; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მოკლე, იუმორისტული საესტრადო საცირკო პიესა; 4. ვულკანური წარმოშობის, ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 5. უბანი თბილისში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 15. სპორტული ინვენტარის იტალიური ფირმა; 16. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის შაშხი; 17. გემთმშენებელი საწარმო; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. მგალობელი ჩიტი; 22. მცირე ალკოჰოლიანი, გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად**: 6. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. გემის საჭის საბრუნავი ბერკეტი; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი სამხრეთ ამერიკაში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 14. პირველი კოსმონავტი; 19. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ქართველთა სათვისტომოს მამული პარიზში; 23. ბელინის ოპერა; 24. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*